

სს „სილქ როუდ ბანკი“

ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული წლისთვის

სარჩევი

| | |
|--|----|
| დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა | 3 |
| მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება | 6 |
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება | 7 |
| ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება..... | 8 |
| კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება..... | 9 |
| ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები | 10 |
| 1 ზოგადი ინფორმაცია | 10 |
| 2 მომზადების საფუძველი | 10 |
| 3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები | 14 |
| 4 ფინანსური რისკის მიმოხილვა | 31 |
| 5 ფასს 9-ზე გადასვლა | 38 |
| 6 ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დათვლილი წმინდა საპროცენტო შემოსავალი | 40 |
| 7 ადმინისტრაციული ხარჯები | 40 |
| 8 მოგების გადასახადისგან მიღებული სარგებელი..... | 40 |
| 9 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | 42 |
| 10 მოთხოვნები საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ..... | 42 |
| 11 საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები | 42 |
| 14 კლიენტების მიმდინარე ანგარიშები და ანაზრები..... | 49 |
| 15 სუბორდინირებული სესხები | 50 |
| 16 სააქციო კაპიტალი და რეზერვები | 50 |
| 17 პირობითი ვალდებულებები | 51 |
| 18 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან..... | 51 |
| 19 ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება | 52 |
| 20 რისკებს მართვა | 53 |
| 21 კაპიტალის ადეკვატურობა | 59 |
| 22 საანგარიშგებო თარიღის შემდგომი მოვლენები..... | 60 |



შპს „KPMG Georgia“
 ჯი ემ თი პლაზა
 მე-5 სართული, თავისუფლების მოედანი №4
 თბილისი, საქართველო 0105
 ტელეფონი: +995 322 93 5713
 ინტერნეტი: www.kpmg.ge

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

სს „სილქ როუდ ბანკი“-ს აქციონერებს და დირექტორთა საბჭოს

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ სს სილქ როუდ ბანკის (შემდგომში „ბანკი“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგების ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას ამავე თარიღებით დასრულებული წლისთვის, ასევე მნიშვნელოვან საადრიცხო პოლიტიკებს და სხვა ახსნითი ხასიათის ინფორმაციას.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ბანკის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრისთვის, ასევე მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად, ხსენებული სტანდარტების საფუძველზე ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში „აუდიტორთა პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“, „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, ჩვენ ვართ ბანკისგან დამოუკიდებლები და ასევე ვართ შესაბამისობაში IESBA კოდექსის და სხვა, ჩვენი ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან შესაბამის, საქართველოში არსებულ, ეთიკურ მოთხოვნებთან შესაბამისობაში. ჩვენ დაკავშირდით ჩვენი სხვა ეთიკური პასუხისმგებლობები ამ მოთხოვნების და IESBA კოდექსის შესაბამისად. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობისას ჩვენ მიერ მოპოვებული მტკიცებულებები წარმოადგენს აუდიტორული დასკვნისთვის საკმარის და მართებულ საფუძველს.

ხელმძღვანელობის ანგარიში

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს „ხელმძღვანელობის ანგარიშზე“. ეს უკანასკნელი ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება წინამდებარე აუდიტორთა დასკვნის გაცემის თარიღის შემდეგ.

ჩვენი დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ არ მოიცავს ხელმძღვანელობის ანგარიშს და ჩვენ არანაირი ფორმით არ გავცემთ მასთან დაკავშირებულ დასკვნას.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს ხელმძღვანელობის ანგარიშის გაცემას მას შემდეგ, რაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება და განსაზღვრას, შეესაბამება თუ არა ხელმძღვანელობის ანგარიში ფინანსურ ანგარიშგებას ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მიღებულ ცოდნას ყველა არსებით ასპექტში, ან რაიმე სახით არის თუ არა ხსენებული დოკუმენტი არსებითად დამაბინჯებელი.

მას შემდეგ, რაც ჩვენ გავეცნობით ხელმძღვანელობის ანგარიშს, ჩვენ სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით ვასკვნი:

- შეესაბამება თუ არა ფინანსურ ანგარიშგებას და მოიცავს თუ არა ის არსებით უზუსტობებს;
- მოიცავს თუ არა ყველა ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს და რომელიც შეესაბამება „საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ.“

სხვა საკითხი

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის ბანკის ფინანსური ანგარიშგება აუდიტრებული იყო სხვა აუდიტორების მიერ რომლებმაც გამოთქვეს არამოდიფიცირებული მოსაზრება მოცემულ ანგარიშგებებზე 2018 წლის 14 მაისს.

ხელმძღვანელობის და მმართველობაზე უფლებამოსილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად მომზადებასა და კეთილსინდისიერად წარდგენაზე და ისეთი შიდა კონტროლის სისტემის შექმნაზე, რომელიც, მათი თვალსაზრისით, უზრუნველყოფს ისეთი ფინანსური ანგარიშების მომზადებას, რომელიც არ შეიცავს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს ბანკის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ და მოახდინოს მსგავსი შეფასების წარდგენა და გამოიყენოს მოქმედი საწარმოს პრინციპზე დაფუძნებული აღრიცხვა მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს ბანკის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებებისა.

მმართველობაზე უფლებამოსილი პირები პასუხისმგებელი არიან ბანკის ფინანსური ანგარიშგების პროცესის მონიტორინგზე.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მივიღოთ გონივრული რწმუნება შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება შეცდომის ან თაღლითობის შედეგად გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავვეთ აუდიტორთა დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას, გონივრული რწმუნება არის რწმუნებულების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას. თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოშობილი უზუსტობები შესაძლებელია მოიაზრებოდნენ არსებითად, თუ ცალკე ან ერთობლივად შეუძლიათ გავლენა იქონიონ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და მართებულია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამაბრუნებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას.

- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა კომპანიის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად.
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას.
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნიტ, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვეველობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ექვევქვე დააყენოს ბანკის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნიტ, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვეველობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ შესაბამის ინფორმაციაზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, ან, თუ შესაბამისი განმარტებითი შენიშვნა არაა დეკლარირებული იქნება, შევცვალოთ ჩვენი დასკვნა, ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა, შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის უნარზე განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების სრულად წარდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს გაუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენს მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა გაფცა, არის:

კარენ საფარიანი

შპს „KPMG Georgia“
თბილისი, საქართველო
15 მაისი, 2019 წელი

სს „სილქ როულ ბანკი“
2018 წლის მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

| | შენიშვნები | 2018 ლარი'000 | 2017* ლარი'000 |
|---|------------|------------------|-------------------|
| საპროცენტო შემოსავალი ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით | 6 | 4,237 | 2,810 |
| საპროცენტო ხარჯი | 6 | (587) | (631) |
| წმინდა საპროცენტო შემოსავალი | | 3,650 | 2,179 |
| საკომისიო შემოსავალი | | 745 | 540 |
| საკომისიო ხარჯი | | (221) | (135) |
| წმინდა საკომისიო შემოსავალი | | 524 | 405 |
| წმინდა მოგება უცხოურ ვალუტაში ოპერაციებიდან | | 951 | 294 |
| წმინდა (ზარალი)/მოგება უცხოური ვალუტის გადაფასებიდან | | (444) | 96 |
| წმინდა ზარალი საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან | | - | (873) |
| წმინდა ზარალი გასაყიდად ფლობილი აქტივების გაყიდვიდან | | (397) | - |
| გაუფასურების ზარალი გასაყიდად ფლობილ აქტივებზე | | (1,452) | (1,683) |
| წმინდა გაუფასურების ზარალი სავალდებულებებზე და სასესხო ვალდებულებებზე | 12 | (2,933) | (273) |
| ხელუფასები და თანამშრომელთა სარგებლის ხარჯები | | (1,848) | (2,034) |
| ადმინისტრაციული ხარჯები | 7 | (3,637) | (2,765) |
| სხვა შემოსავალი | | 371 | 395 |
| ზარალი დაბეგვრამდე | | (5,215) | (4,259) |
| მოგების გადასახადიდან მიღებული სარგებელი | 8 | 528 | 39 |
| წლის ზარალი | | (4,687) | (4,220) |
| სხვა სრული შემოსავალი | 8 | | |
| მიწის და შენობების გადაფასება | | 2,490 | 315 |
| სხვა სრული შემოსავლის კომპონენტებთან დაკავშირებული მოგების გადასახადი | | (383) | (47) |
| სულ სხვა სრული შემოსავალი | | 2,107 | 268 |
| სულ წლის სრული ზარალი | | (2,580) | (3,952) |

* ბანკმა თავდაპირველად გამოიყენა ფასს 9 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. შერჩეული გადასვლის მეთოდის მიხედვით, შესადარისი ინფორმაცია არ არის გადაანგარიშებული (იხ. შენიშვნა 3 (ე)). ფასს 9-ს დანერგვის შედეგად ბანკმა შეცვალა ზოგიერთი ერთეულის წარდგენა, შესადარისი ინფორმაცია ასახულია შესაბამისად (იხ. შენიშვნა 3 (ე)).

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება, გვერდებზე 6 დან 60-მდე, დამტკიცებულია 2019 წლის 15 მაისს ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია, მისი სახელით, შემდეგი პირების მიერ:



ელი ენოხ
გენერალური დირექტორი



ნათია მერაბიშვილი
ფინანსური დირექტორი

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნეს თანდართულ განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

| | შენიშვნები | 31 დეკემბერი 2018 ლარი'000 | 31 დეკემბერი 2017* ლარი'000 |
|--|------------|----------------------------------|-----------------------------------|
| აქტივები | | | |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | 9 | 20,073 | 15,973 |
| მოთხოვნები საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ | 10 | 2,183 | 2,273 |
| საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები | 11 | 13,637 | 10,255 |
| მომხმარებელზე გაცემული სესხები | 12 | 15,987 | 6,433 |
| ძირითადი საშუალებები | 13 | 18,189 | 16,274 |
| საინვესტიციო ქონება | | - | 638 |
| არამატერიალური აქტივები | | 56 | 57 |
| გასაყიდად ფლობილი ძირითადი საშუალებები | 12 | 4,918 | 5,806 |
| მიმდინარე საგადასახადო აქტივი | 8 | 55 | 280 |
| სხვა აქტივები | | 823 | 577 |
| სულ აქტივები | | 75,921 | 58,566 |
| ვალდებულებები | | | |
| მიმდინარე ანგარიშები და დეპოზიტები | | | |
| კლიენტებისგან | 14 | 12,892 | 15,463 |
| სუბორდინირებული სესხები | 15 | - | 9,076 |
| გადავადებული საგადასახადო ვალდებულება | 8 | 134 | 279 |
| სხვა ვალდებულებები | | 873 | 690 |
| სულ ვალდებულებები | | 13,899 | 25,508 |
| კაპიტალი | | | |
| სააქციო კაპიტალი | 16 | 61,146 | 30,000 |
| რეზერვები | | 7,322 | 5,321 |
| დაგროვილი ზარალი | | (6,446) | (2,263) |
| სულ კაპიტალი | | 62,022 | 33,058 |
| სულ ვალდებულებები და კაპიტალი | | 75,921 | 58,566 |

* ბანკმა თავდაპირველად გამოიყენა ფასს 9 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. შერჩეული გადასვლის მეთოდის მიხედვით, შესადარისი ინფორმაცია არ არის გადაანგარიშებული (იხ. შენიშვნა 3 (ე)), ფასს 9-ს დანერგვის შედეგად ბანკმა შეცვალა ზოგიერთი ერთეულის წარდგენა, შესადარისი ინფორმაცია ასახულია შესაბამისად (იხ. შენიშვნა 3 (ე)).

| შენიშვნები | 2018 ლარი'000 | 2017 ლარი'000 |
|--|------------------|------------------|
| ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობებიდან | | |
| მიღებული პროცენტი | 4,115 | 3,069 |
| გადახდილი პროცენტი | (587) | (649) |
| მიღებული საკომისიო თანხები | 745 | 540 |
| გადახდილი საკომისიო თანხები | (221) | (120) |
| წმინდა მიღებული თანხები უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარიგებებიდან | 951 | 294 |
| მიღებული სხვა საოპერაციო შემოსავალი | 372 | 344 |
| გადახდილი პერსონალის ხარჯები | (1,848) | (2,003) |
| სხვა გადახდილი ადმინისტრაციული ხარჯები | (3,050) | (2,652) |
| საოპერაციო აქტივების (მატება) კლება | | |
| მოთხოვნები საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ | 14 | 9,951 |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | (12,447) | 1,188 |
| სხვა აქტივები | 154 | 17 |
| საოპერაციო ვალდებულებების მატება (კლება) | | |
| დეპოზიტები და ბანკში არსებული ნაშთები | - | (9,000) |
| მიმდინარე ანგარიშები და დეპოზიტები კლიენტებისგან | (2,547) | (17,468) |
| სხვა ვალდებულებები | 194 | (112) |
| | (14,155) | (16,601) |
| წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობებიდან | | |
| ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობებიდან | | |
| საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების შექმნა | (10,683) | - |
| საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვიდან მიღებული შემოსავალი | 7,262 | 1,831 |
| საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შექმნა | - | 1,244 |
| საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი | (21) | (47) |
| საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი | - | 174 |
| წმინდა ფულადი სახსრები (გამოყენებული)/მიღებული საინვესტიციო საქმიანობებიდან | (3,442) | 3,202 |
| ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობებიდან | | |
| ნასესხები ფონდებიდან მიღებული თანხები/(დაფარვა) | (8,990) | 9,060 |
| სააქციო კაპიტალის გამოშვებით მიღებული თანხები | 31,146 | - |
| წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობებიდან | 22,156 | 9,060 |
| წმინდა (კლება)/მატება ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში | 4,100 | (4,147) |
| გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე | (459) | 192 |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში | 15,973 | 20,120 |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს | 9 20,073 | 15,973 |

* ბანკმა თავდაპირველად გამოიყენა ფასს 9 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, შერჩეული გადასვლის მეთოდის მიხედვით, შესადარისი ინფორმაცია არ არის გადაანგარიშებული (იხ. შენიშვნა 3 (ე)). ფასს 9-ს დაწერვის შედეგად ბანკმა შეცვალა ზოგიერთი ერთეულის წარდგენა, შესადარისი ინფორმაცია ასახულია შესაბამისად (იხ. შენიშვნა 3 (ე)).

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნეს თანდართულ განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

| ლარი '000 | საქვითი კაპიტალი | ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი | გაუნაწილებელი მოგება/ (დაგროვილი ზარალი) | სულ კაპიტალი |
|---|---------------------|--|---|-----------------|
| ნაშთი 2017 წლის 1 იანვარი | 30,000 | 5,153 | 1,857 | 37,010 |
| სულ სრული შემოსავალი/(ზარალი) წლის ზარალი | - | - | (4,220) | (4,220) |
| სხვა სრული შემოსავალი/(ზარალი) ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი | - | 315 | - | 315 |
| გადავადებული გადასახადის გავლენა გადაფასების რეზერვის ცვეთა, გადასახადების გამოკლებით | - | (47) | - | (47) |
| სულ სხვა სრული შემოსავალი | - | 168 | 100 | 268 |
| სულ სრული შემოსავალი/(ზარალი) | - | 168 | (4,120) | (3,952) |
| ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს | 30,000 | 5,321 | (2,263) | 33,058 |
| ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს* ფასს 9-ს თავდაპირველი დანერგვის კორექტირება, გადასახადების გამოკლებით (იხ. შენიშვნა 5) | - | - | 398 | 398 |
| კორექტირებული ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს | 30,000 | 5,321 | (1,865) | 33,456 |
| სულ სრული შემოსავალი/(ზარალი) წლის ზარალი | - | - | (4,687) | (4,687) |
| სხვა სრული შემოსავალი/(ზარალი) ძირითადი საშუალებების გადაფასება | - | 2,490 | - | 2,490 |
| გადავადებული გადასახადის გავლენა გადაფასების რეზერვის ცვეთა, გადასახადების გამოკლებით | - | (383) | - | (383) |
| სულ სხვა სრული შემოსავალი | - | (106) | 106 | - |
| სულ სრული შემოსავალი/(ზარალი) | - | 2,001 | (4,581) | (2,580) |
| პირდაპირ კაპიტალში ასახული გარიგებები მესაკუთრებთან გამომწეებული აქციები | 31,146 | - | - | 31,146 |
| სულ გარიგებები მესაკუთრებთან | 31,146 | - | - | 31,146 |
| ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს | 61,146 | 7,322 | (6,446) | 62,022 |

* ბანკმა თავდაპირველად გამოიყენა ფასს 9 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, შერჩეული გადასვლის მეთოდის მიხედვით, შესადარისი ინფორმაცია არ არის გადაანგარიშებული (იხ. შენიშვნა 3 (ე)). ფასს 9-ს დანერგვის შედეგად ბანკმა შეცვალა ზოგიერთი ერთეულის წარდგენა, შესადარისი ინფორმაცია ასახულია შესაბამისად (იხ. შენიშვნა 3 (ე)).

1 ზოგადი ინფორმაცია

(ა) ორგანიზაცია და ოპერაციები

სს „სილქ როუდ ბანკი“ (ბანკი) წარმოადგენს საქართველოს სააქციო საზოგადოებას.

„ბანკის“ ძირითადი საქმიანობა მოიცავს საზოგადოებისგან დეპოზიტების მიღებას და კრედიტების გაცემას, თანხის გადარიცხვებს საქართველოში და საზღვარგარეთ, უცხოური ვალუტის გაცვლის ოპერაციებს და სხვა საბანკო მომსახურებებს მის კორპორატიულ და საცალო კლიენტებზე. „ბანკის“ რეგისტრირებული იურიდიული მისამართია ზაარბრიუკენის მოედანი №2, თბილისი, საქართველო. „ბანკის“ საქმიანობას არეგულირებს საქართველოს ეროვნული ბანკი (სებ) და ახორციელებს თავის საქმიანობას სალიცენზიო ნომრით 238.

ბანკის სარეგისტრაციო ნომერია 201955027 და სარეგისტრაციო ორგანო დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის სასამართლო.

2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის აქციონერები არიან:

| სახელი | საკუთრების პროცენტი % | |
|------------------------|-----------------------|---------------|
| | 2018 | 2017 |
| სს „Silk Road Finance“ | 99.99 | 99.99 |
| სხვა | 0.01 | 0.01 |
| სულ | 100.00 | 100.00 |

ბანკის საბოლოო მკონტროლებელი არის ქართველი ბიზნესმენი, გიორგი რამიშვილი, რომელსაც ბანკის გარეთ სხვა ბიზნეს ინტერესები გააჩნია. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან ასახულია 18-ე შენიშვნაში.

(ბ) ბიზნეს გარემო

ბანკის ოპერაციები ძირითადად ხორციელდება საქართველოში. შესაბამისად ბანკი დამოკიდებულია ქართულ ეკონომიურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც განვითარებად ბაზრებს წარმოადგენენ. იურიდიული, საგადასახადო და რეგულაციური სტრუქტურები ექვემდებარება ცვალებად ინტერპრეტაციებსა და ხშირ ცვლილებებს რაც, სხვა იურიდიულ და საგადასახადო შეფერხებებთან ერთად უქმნის არაერთ დაბრკოლებას საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ საწარმოებს.

ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის საქართველოს ბიზნეს გარემოს ბანკის ოპერაციებზე და ფინანსურ მდგომარეობაზე გავლენის შეფასებას. მომავალი ბიზნეს გარემო შესაძლოა განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებისგან.

2 მომზადების საფუძველი

(ა) შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან („ფასს“) სრულ შესაბამისობაში.

ეს არის ბანკის პირველი წლიური ფინანსური ანგარიშგება სადაც გამოყენებულია ფასს 15 „ამონაგები მომზადებულთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ და ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“. ცვლილებები წინაშელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებში აღწერილია 2(ე) შენიშვნაში.

(ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა მიწისა და შენობების და საინვესტიციო ქონებისა რომლებიც ასახულია სამართლიანი ღირებულებით.

(გ) სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

ბანკის სამუშაო ვალუტა არის ქართული ლარი (GEL), რომელიც წარმოადგენს საქართველოს ეროვნულ ვალუტას. ის ასახავს ძირითადი მოვლენებისა და ვითარებების უმრავლესობის ეკონომიკურ არსს.

ლარი ასევე წარმოადგენს წარსადგენ ვალუტას წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის.

ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილი ლარში დამრგვალებულია უახლოეს ათასეულამდე.

(დ) შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება

ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს ისეთი მსჯელობის, შეფასებებისა და დაშვებების გამოყენებას, რომლებიც მოქმედებენ ბანკის ფინანსური აღრიცხვის პოლიტიკების გამოყენებასა და აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლისა და ხარჯების წარდგენილ თანხებზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ხსენებული შეფასებებისგან.

შეფასებები და დაშვებები მუდმივად გადაიხედება, სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები აისახება იმ პერიოდში, როდესაც გადაიხედა ეს შეფასება და ნებისმიერ მომავალ პერიოდში, რომელსაც ის ეხება.

მსჯელობები

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე არსებითი გავლენის მქონე სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას გაკეთებულ მსჯელობებზე ინფორმაცია მოცემულია შემდეგ შენიშვნებში:

- გამოიყენება მხოლოდ 2018 წელს
 - ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია: ბიზნეს მოდელის შეფასება რომლის ფარგლებშიც განიხილება აქტივები; შეფასება წარმოადგენს თუ არა ფინანსური აქტივის სახელმწიფო პირობები მხოლოდ ძირითადი თანხის და დარჩენილ ძირითად თანხაზე პროცენტის გადახდას - შენიშვნა 3(ე)(i).
 - იმ კრიტერიუმების დადგენა რომლებიც გამოიყენება ფინანსურ აქტივზე თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკის არსებითი ზრდის დასადგენად; მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღრიცხვის მოდელში მომავალზე ორიენტირებული ინფორმაციის შეტანის მეთოდოლოგიის დადგენა, და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღრიცხვის მოდელის შერჩევა და დამტკიცება - შენიშვნა 4.
- გამოიყენება 2018 და 2017 წლებში
 - მომხმარებლებზე გაცემული სესხები: რეზერვის გაუფასურების შეფასება - შენიშვნა 3(ე)(iv).
 - მიწისა და შენობების გადაფასების შეფასება - შენიშვნა 13.

უზუსტობის შეფასება და დადგენა

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის არსებითი ცვლილებების გამოწვევის მაღალი რისკის მქონე უზუსტობების შეფასებასა და დადგენაზე ინფორმაცია მოცემულია შემდეგ შენიშვნებში:

- გამოიყენება მხოლოდ 2018 წელს
 - ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურება: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღრიცხვის მოდელში შესატანი ინფორმაციის დადგენა, მომავალზე ორიენტირებული ინფორმაციის გათვალისწინებით - შენიშვნა 4.
- გამოიყენება 2018 და 2017 წლებში
 - მომხმარებლებზე გაცემული სესხები: რეზერვის გაუფასურების შეფასება - შენიშვნა 3(ე)(iv).
 - მიწისა და შენობების გადაფასების შეფასება - შენიშვნა 13.

ე) ცვლილებები მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებში და წარდგენა

ბანკმა თავდაპირველად გამოიყენა ფასს 15 და ფასს 9 2018 წლის 1 იანვრიდან.

რიგი სხვა ახალი სტანდარტებიც შევიდა ძალაში 2018 წლის 1 იანვრიდან, მაგრამ მათ არ იქონიეს არსებითი ზეგავლენა ბანკის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ბანკის მიერ ფასს 9-ს დანერგვისას შერჩეული გადასვლის მეთოდებიდან გამომდინარე, შესაძარის ინფორმაცია მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებებში არ არის გადაანგარიშებული ახალი სტანდარტების მოთხოვნების ასახვის მიზნით.

მოცემული სტანდარტის თავდაპირველი დანერგვის ეფექტი ძირითადად აისახება შემდეგზე:

- ფინანსურ აქტივებზე აღიარებული გაუფასურების ზარალის ზრდა (იხ. შენიშვნა 5);
- ფასს 9-თან დაკავშირებული დამატებითი განმარტებითი შენიშვნები (იხ. შენიშვნა 4 და 5).

A. ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები

ფასს 9 აწესებს ფინანსური აქტივების, ფინანსური ვალდებულებების, და ზოგიერთი არა-ფინანსური აქტივების შესყიდვა/გაყიდვის ხელშეკრულებების, აღიარების და შეფასების მოთხოვნებს. ეს სტანდარტი ანაცვლებს ბასს 39-ს *ფინანსური ინსტრუმენტები აღიარება და შეფასება*. ფასს 9-ს მოთხოვნები არსებითად განსხვავდება ბასს 39-ს მოთხოვნებისაგან. ახალ სტანდარტს შემოაქვს ძირეული ცვლილებები ფინანსური აქტივების აღრიცხვაში და გარკვეული ასპექტებით ფინანსური ვალდებულებების აღრიცხვაში.

ფასს 9-ს დანერგვის შედეგად, კომპანიამ შესაბამისი კორექტირებები შეიტანა ბასს 1-ში *ფინანსური ანგარიშგების წარდგენა*. ეს კორექტირება მოითხოვს, რომ ეფექტური პროცენტის მეთოდით შეფასებული საპროცენტო შემოსავალი მოგება ან ზარალის უწყისში და სხვა სრულ შემოსავალში ასახული იყოს ცალკე კატეგორიად. ადრე ბანკის მიდგომა იყო ამ ოდენობის ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში ასახვა.

დამატებით, ბანკი იყენებს შესაბამის კორექტირებებს ფასს 7 *ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები* -ზე, რომლებიც გამოიყენება 2018 წლის განმარტებით შენიშვნებში, მაგრამ არ იყო გამოყენებული შესაძარის ინფორმაციაზე.

ფასს 9-ს დანერგვიდან წარმოშობილი მთავარი ცვლილებები ბანკის სააღრიცხვო პოლიტიკებში შეჯამებულია ქვემოთ.

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია

ფასს 9 მოიცავს სამ ძირითად კლასიფიკაციის კატეგორიას ფინანსური აქტივებისათვის: ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული. ფასს 9-ს მიხედვით ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ძირითადად დაფუძნებულია იმ ბიზნეს მოდელზე რომელიც გამოიყენება ფინანსური აქტივის სამართავად და მის სახელშეკრულებო ფულად ნაკადებზე. ფასს 9 აუქმებს ბასს 39 -ს დროს გამოყენებულ კატეგორიებს როგორცაა ხანდაზმულობის ვადის მიხედვით, სესხები და მოთხოვნები და გასაყიდად არსებული. ფასს 9-ს მიხედვით, ხელშეკრულებებში ჩართული წარმოებულნი ინსტრუმენტები, რომლის საგანსაც ფინანსური აქტივი წარმოადგენს, სტანდარტის მიზნებისთვის არ განცალკევდება. ნაცვლად ამისა, კლასიფიკაციის მიზნებისათვის ფასდება ჰიბრიდული ფინანსური ინსტრუმენტი როგორც ერთი მთლიანობა. ახსნა-განმარტება თუ როგორ აკლასიფიცირებს ბანკი ფინანსურ აქტივებს ფასს 9-ს მიხედვით, იხილეთ შენიშვნა 3(ე)(i)-ში.

ფასს 9 ძირითადად იწარჩუნებს ბასს 39-ში არსებულ მოთხოვნებს ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციასთან დაკავშირებით. თუმცა, თუ ბასს 39-ს გამოყენებისას სამართლიანი ღირებულებით განსასაზღვრი ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების ყველა ცვლილება აღიარებული იყო მოგებაში ან ზარალში, ფასს 9-ს მიხედვით სამართლიანი ღირებულების ცვლილებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

- ვალდებულების საკრედიტო რისკზე მიკუთვნებადი სამართლიანი ღირებულების ცვლილების ოდენობა აისახება სხვა სრულ შემოსავალში; და
- სამართლიანი ღირებულების ცვლილების დარჩენილი ოდენობა ასახულია მოგებაში ან ზარალში.

ახსნა-განმარტება თუ როგორ აკლასიფიცირებს ბანკი ფინანსურ ვალდებულებებს ფასს 9-ს მიხედვით, იხილეთ შენიშვნა 3(ე)(i)-ში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფასს 9 ანაცვლებს ბასს 39-ს „გაწეული ზარალი“-ს მოდელს „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ (მსზ)-ს მოდელით. ახალი გაუფასურების მოდელი ასევე ვრცელდება კონკრეტულ სასესხო ვალდებულებებზე და ფინანსური უზრუნველყოფის ხელშეკრულებებზე, მაგრამ არა კაპიტალის ინვესტიციებზე.

ფასს 9-ს მიხედვით, საკრედიტო ზარალი აღიარდება უფრო ადრე ვიდრე ბასს 39-ს გამოყენებისას. ახსნა-განმარტებისთვის თუ როგორ იყენებს ბანკი ფასს 9-ს გაუფასურების მოთხოვნებს იხ. შენიშვნა 3(ე)(iv).

გადასვლა

ფასს 9-ს. დანერგვისგან გამოწვეული ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკებში ასახული იყო ჯეროვნად. გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

- შესადარისი პერიოდები არ არის გადაანგარიშებული. ფასს 9-ს დანერგვის შედეგად წარმოშობილი ცვლილებები ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში აღიარებულია გაუნაწილებელ მოგებასა და რეზერვებში 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. შესაბამისად, 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილი ინფორმაცია არ ასახავს ფასს 9-ს მოთხოვნებს და მამასადაშუ არ არის შედარებადი 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილ ინფორმაციაზე ფასს 9-ს მიხედვით.

ბანკმა გამოიყენა შესაძარისი პერიოდების გადაანგარიშებისგან გათავისუფლება, მაგრამ გავითვალისწინოთ რა, რომ ბასს 1-თან მიმართებაში ფასს 9-ს მიერ გაკეთებულმა კორექტირებებმა შემოიტანა „საპროცენტო შემოსავალი დაანგარიშებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით“-ის მოგებაში ან ზარალში და სხვა სრულ შემოსავალში ცალკე ერთეულად ასახვის მოთხოვნა.

- შემდგომი შეფასება გაკეთებულია პირველადი გამოყენებისას არსებული ფაქტებისა და გარემოებების გათვალისწინებით.
 - იმ ბიზნეს მოდელის დადგენა რომლის ფარგლებშიც განიხილება ფინანსური აქტივი.
- თუ ვალის უზრუნველყოფას აქვს დაბალი საკრედიტო რისკი ფასს 9-ის თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის, მაშინ ბანკი ვარაუდობს რომ აქტივის საკრედიტო რისკი არ გაზრდილა არსებითად მისი თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

ფასს 9-ს დანერგვისგან გამოწვეულ ცვლილებებზე დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 5.

B. ფასს 15 ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

ფასს 15 ადგენს ერთიან ჩარჩოს იმის განსაზღვრისთვის თუ რა ოდენობის შემოსავალი იყო აღიარებული და როდის ჰქონდა აღნიშნულს ადგილი. მან ჩაანაცვლა ბასს 18 შემოსავალი, ბასს 11 სამშენებლო ხელშეკრულებები და ამასთან დაკავშირებული ახსნა-განმარტებები.

ბანკმა დაიწყო ფასს 15-ის გამოყენება კუმულაციური ეფექტის მეთოდის გამოყენებით (პრაქტიკული მიზანშეწონილობის გარეშე). მოცემული სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების გავლენა აღიარდება 2018 წლის 1 იანვარს. ფასს 15-ს გამოყენებას არ ჰქონია ზეგავლენა ბანკის მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებულ საკომისიო შემოსავლის დროულაბაზე და ოდენობაზე და გადასვლას არ ჰქონია გავლენა ბანკის კაპიტალზე 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

შენიშვნა 2(ე)-ში ასახული ცვლილებების გარდა, ბანკი თანმიმდევრულად იყენებს შემდგომ სააღრიცხვო პოლიტიკებს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში.

(ა) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია ბანკის სამუშაო ვალუტაში ოპერაციების თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება ხდება ანგარიშსწორების წარდგენის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით, ბანკის სამუშაო ვალუტაში. უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული მოგება ან ზარალი ფულად მუხლებზე წარმოადგენს პერიოდის დასაწყისში არსებული საპროცენტო განაკვეთით და პერიოდის განმავლობაში განხორციელებული გადახდებით დაკორექტირებული, მოქმედი ვალუტის ამორტიზირებადი ღირებულებისა და პერიოდის ბოლოს არსებული, შესაბამისი გაცვლითი კურსით დაკორექტირებული, უცხოურ ვალუტაში გამოსახული ამორტიზირებადი ღირებულების სხვაობას.

უცხოურ ვალუტაში შეფასებული და სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული არაფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირდება მოქმედ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების დადგენის დღეს არსებული გაცვლითი კურსით.

არაფულადი მუხლები, რომელთა ისტორიული ღირებულება უცხოურ ვალუტაშია შეფასებული, კონვერტირდება ტრანზაქციის განხორციელების თარიღისათვის არსებული შესაბამისი კურსით.

უცხოური ვალუტის კონვერტაციით მიღებული სხვაობა აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(ბ) პროცენტი

პოლიტიკა გამოყენებული 2018 წლის 1 იანვრიდან

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში ეფექტური პროცენტის მეთოდით. „ეფექტური საპროცენტო განაკვეთი“ არის განაკვეთი რომელიც ზუსტად ადისკონტირებს სავარაუდო სამომავლო ფულად გადახდებს ან ჩეკებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელ მოხმარების ვადაზე:

- ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე;
- ფინანსური ვალდებულების ამორტიზირებულ ღირებულებაზე.

ფინანსური ინსტრუმენტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დაანგარიშებისას, გარდა შეძენილი ან შექმნილი კრედიტით გაუფასურებული აქტივებისა, ბანკი ვარაუდობს სამომავლო ფულად ნაკადებს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა სახელშეკრულებო პირობების გათვალისწინებით, მაგრამ არა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისა. შეძენილ ან შექმნილ კრედიტით გაუფასურებულ ფინანსური აქტივებისთვის, გამოითვლება კრედიტით დაკორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების გამოყენებით, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ჩათვლით.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლა მოიცავს გარიგების ხარჯებს და გადახდილ ან მიღებულ ქულებს რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. გარიგების ხარჯები მოიცავს ზრდად ხარჯებს რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების შექმნას ან გამოშვებას.

ამორტიზირებული ღირებულება და მთლიანი საბალანსო ღირებულება

ფინანსური აქტივის ან ვალდებულების „ამორტიზირებული ღირებულება“ არის ღირებულება, რომლითაც ფასდება ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება თავდაპირველი აღიარების დროს, მინუს ძირითადი გადასახდელი თანხები, პლუს ან მინუს აკუმულირებული ამორტიზაცია, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, ნებისმიერი სხვაობის თავდაპირველ ღირებულებასა და დაფარვის დროინდელ ღირებულებას შორის, და ფინანსური აქტივებისთვის, დაკორექტირებული ნებისმიერი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვით (ან გაუფასურების რეზერვით 2018 წლის 1 იანვრამდე).

„ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება“ აღრიცხული ამორტიზირებული ღირებულებით არის ფინანსური აქტივის ამორტიზირებული ღირებულება ნებისმიერ მოსალოდნელ საკრედიტო ზარალის რეზერვით დაკორექტირებამდე.

საპროცენტო შემოსავლის და ხარჯის გამოთვლა

ფინანსური აქტივისა ან ფინანსური ვალდებულების ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ანგარიშდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების თავდაპირველი აღიარებისას, საპროცენტო შემოსავლის და ხარჯის დაანგარიშებისას, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გამოიყენება აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე (როდესაც აქტივი არ არის გაუფასურებული კრედიტით) ან ვალდებულების ამორტიზირებულ ღირებულებაზე.

თუმცა, ფინანსური აქტივებისთვის რომლებიც თავდაპირველი აღიარების შემდგომ გაუფასურდა კრედიტით, საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ფინანსური აქტივის ამორტიზირებულ ღირებულებაზე გამოყენებით. თუ აქტივი არ არის კრედიტით გაუფასურებული, მაშინ საპროცენტო შემოსავლის გამოთვლა უბრუნდება მთლიან საბალანსო ღირებულებაზე დათვლის პრინციპს.

ფინანსური აქტივებისთვის რომლებიც თავდაპირველი აღიარებისას იყო კრედიტით გაუფასურებული, საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება კრედიტით დაკორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთის აქტივის ამორტიზირებულ ღირებულებაზე გამოყენებით. საპროცენტო შემოსავლის გამოთვლის მეთოდი არ უბრუნდება მთლიან საბალანსო ღირებულებაზე დათვლის პრინციპს, მიუხედავად აქტივის საკრედიტო რისკის აღდგენისა.

ინფორმაციისთვის, როდის არის ფინანსური აქტივები გაუფასურებული კრედიტით, იხ. შენიშვნა (ე)(iv).

წარდგენა

მოგებაში ან ზარალში და სხვა სრულ შემოსავალში წარმოდგენილი, ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით დათვლილი საპროცენტო შემოსავალი მოიცავს ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხულ პროცენტს ფინანსურ აქტივებზე.

მოგებაში ან ზარალში და სხვა სრულ შემოსავალში წარმოდგენილი, საპროცენტო ხარჯი მოიცავს ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხულ პროცენტს ფინანსურ ვალდებულებებზე.

2018 წლის 1 იანვრიდან გამოყენებული პოლიტიკა

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი იყო განაკვეთი რომელიც ზუსტად ადისკონტირებდა მოსალოდნელ მომავალ ფულად გადახდებს და ჩეკებს, ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი მომსახურების ვადის მიხედვით (ან, სადაც მიზანშეწონილია, უფრო ნაკლები ვადით), ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დათვლისას, ბანკი ვარაუდობდა მომავალ ფულად ნაკადებს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა სახელშეკრულებო პირობების გათვალისწინებით, მაგრამ არა მომავალი საკრედიტო ზარალისა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლა მოიცავს გარიგების ხარჯებს და გადახდილ ან მიღებულ ქულებს რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილს წარმოადგენს. გარიგების ხარჯები მოიცავს ზრდად ხარჯებს რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების შექმნას ან გამოშვებას.

წარდგენა

მოგებაში ან ზარალში და სხვა სრულ შემოსავალში წარმოდგენილი, ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით დათვლილი საპროცენტო შემოსავალი მოიცავს ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხულ პროცენტს ფინანსურ აქტივებზე.

(გ) საკომისიოები

საკომისიო ხარჯი და შემოსავალი ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს და შედის ეფექტურ საპროცენტო განაკვეთში (იხ. შენიშვნა 3(ბ)).

თუ არ არის მოსალოდნელი, რომ შესაძლებელი იქნება სასესხო ვალდებულების ნაწილ-ნაწილ გადახდა, მაშინ დაკავშირებული სასესხო ვალდებულების საკომისიო აღიარებულია წრფივი მეთოდის მიხედვით ვალდებულების მოქმედების ვადის განმავლობაში.

მომხმარებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებას, რომელიც იწვევს ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაში ფინანსური ინსტრუმენტის აღიარებას, შეიძლება ნაწილობრივ ესადაგებოდეს ფასს 9 და ნაწილობრივ ფასს 15-ი.

ამ შემთხვევაში ბანკი ჯერ იყენებს ფასს 9-ს, რომ დაყოფს და აღრიცხოს ხელშეკრულების ის ნაწილი რომელიც ფასს 9-ს მიეკუთვნება და შემდეგ დარჩენილ ნაწილზე იყენებს ფასს 15-ს.

სხვა საკომისიო ხარჯები ძირითადად უკავშირდება გარიგებების და მომსახურების საკომისიოს, და აღიარდება ხარჯად მომსახურების გაწევისთანავე.

(დ) გადასახადები

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს. მოგების გადასახადი აღიარდება მოგებაში ან ზარალში გარდა იმ ნაწილისა, რომელიც უკავშირდება სხვა სრულ შემოსავალში ასახულ ერთეულებს ან პირდაპირ კაპიტალში ასახულ გარიგებებს აქციონერებთან, რა შემთხვევაშიც ის აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში.

i. მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი არის აღნიშნული წლის დასაბეგრი მოგების საფუძველზე წარმოქმნილი მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება, იმ საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია საანგარიშგებო თარიღისათვის. მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი აგრეთვე წარმოადგენს წინა წლების საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერ კორექტირებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ასევე მოიცავს დივიდენდებიდან წარმოშობილ ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი კორპორატიული მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით). რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე, კანონი ძალაში შევიდა 2016 წლიდან და გამოიყენება საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2023 წლის 1 იანვარს.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან (CIT) გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე; ე.ი. ძირითად დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას (DE), როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა განაწილებულ მოგებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან განაწილებული მოგების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის. დაბეგვრის ობიექტი ასევე მოიცავს ხარჯებს ან სხვა გადახდებს, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობას და წარმოადგენს უფასო მიწოდებას და დაშვებულს ზემოთ წარმომადგენლობით ხარჯებს.

საგადასახადო ჩათვლა ვრცელდება გადახდილ მიმდინარე მოგების გადასახადზე 2008-2017 წლების განაწილებულ მოგებაზე, თუ ასეთი მოგება ნაწილდება 2019 ან შემდეგ წლებში.

დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯის სახით დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად ფაქტიური გადახდის თარიღისა ან იმ პერიოდისა, როდესაც გადაიხდება დივიდენდები.

ii. გადავადებული გადასახადი

გადავადებული გადასახადი აქტივებსა და ვალდებულებებზე აღიარდება მათი ფინანსური ანგარიშგების მიზნით აღრიცხულ საბალანსო ღირებულებასა და საგადასახადო მიზნებისთვის გამოყენებულ თანხებს შორის დროებითი სხვაობით.

გადავადებული გადასახადი აღირიცხება საგადასახადო განაკვეთით რომლის გამოყენებაც მოსალოდნელია დროებით სხვაობებზე მათი აღდგენისას, იმ კანონებზე დაყრდნობით რომლებიც ძალაშია ან დიდწილად ძალაშია ანგარიშგების თარიღისთვის.

გადავადებული საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების აღრიცხვა ასახავს საგადასახადო შედეგებს რომლებიც მოჰყვება ბანკის მოლოდინებს, საგადასახადო პერიოდის ბოლოს, რომ აღადგინოს და დააკმაყოფილოს მისი აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება.

გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარდება მხოლოდ იმ დონეზე რამდენადაც მოსალოდნელია მომავალი დაბეგვრადი მოგების მიღება რომლის საპირწონედაც გამოყენებული იქნება დროებითი სხვაობები, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალები და კრედიტები. გადავადებული საგადასახადო აქტივები შემცირებულია იმ ოდენობით, რამდენადაც ხელმისაწვდომი იქნება დაბეგვრადი მოგება, რომლის საპირწონედაც გამოქვითვადი დროებითი სხვაობები იქნება გამოყენებული.

(ე) ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

i. კლასიფიკაცია

ფინანსური აქტივები – 2018 წლის 1 იანვრიდან გამოყენებული პოლიტიკა

პირველადი აღიარებისას, ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება ისევე როგორც აღირიცხება: ამორტიზირებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ან სამართლიანი ღირებულებით მოგება ან ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივი აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით თუ ის აკმაყოფილებს შემდგომ მოყვანილ ორივე პირობას და არ არის გამიზნული როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგება ან ზარალში ასახვით:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს რომლის მიზანიც არის აქტივების შენახვა სახელშეკრულებო ფულადი სახსრების შესაგროვებლად; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს რომელიც მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი დაგროვილი დაუფარავი ინტერესის გადახდას წარმოადგენს.

ვალის ინსტრუმენტი აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით თუ ის აკმაყოფილებს შემდგომ მოყვანილ ორივე პირობას და არ არის გამიზნული როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგება ან ზარალში ასახვით:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს რომლის მიზანიც არის სახელშეკრულებო ფულადი სახსრების შეგროვება და ფინანსური აქტივების გაყიდვა; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს რომელიც მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი დაგროვილი დაუფარავი ინტერესის გადახდას წარმოადგენს.

სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით აღრიცხული სასესხო ფინანსური აქტივებისთვის, მოგება და ზარალი აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში, გარდა შემდეგი შემთხვევებისა, რომლებიც აღიარდება მოგებაში ან ზარალში ისევე როგორც ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები:

- საპროცენტო შემოსავალი ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით;
- მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი და აღდგენა; და
- უცხოური გაცვლითი კურსიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი.

როდესაც სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით აღრიცხული სასესხო ფინანსური აქტივების აღიარება წყდება, კუმულაციური მოგება ან ზარალი ადრე აღიარებული სხვა სრულ შემოსავალში, რეკლასიფიცირებულია კაპიტალიდან მოგებაში ან ზარალში.

ყველა სხვა ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება ისევე როგორც აღიარდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

დამატებით, პირველადი აღიარებისას, ბანკს შეუძლია შეუქცევადი წესით განსაზღვროს ფინანსური აქტივი რომელიც აკმაყოფილებს ამორტიზირებული ღირებულებით, ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით აღრიცხვის მოთხოვნებს, თუ ეს მნიშვნელოვნად დასწევს ან გააწილებს საადრიცხვო შეუსაბამობას რაც სხვა შემთხვევაში წარმოიშვება (იხ. შენიშვნა 3(ე)(v)).

ბიზნეს მოდელის შეფასება

ბანკი შეაფასებს თუ რა ამოცანებს ისახავს თითოეული ბიზნეს მოდელი რომლის ფარგლებშიც ხდება ფინანსური აქტივების პორტფელის მართვა, რადგან ეს ასახავს ბიზნესის მართვის და ხელმძღვანელობისთვის ინფორმაციის მიწოდების ფორმებს. გათვალისწინებული ინფორმაცია მოიცავს შემდეგს:

- პორტფელთან მიმართებაში არსებული ამოცანები და პოლიტიკები და ამგვარი პოლიტიკების მოქმედება პრაქტიკაში, მათ შორის არის თუ არა ხელმძღვანელობის სტრატეგია მიმართული სახელშეკრულებო საპროცენტო შემოსავლის გამოიმუშავებაზე, კონკრეტული საპროცენტო განაკვეთის პროფილის შენარჩუნებაზე, ფინანსური აქტივების ვადის ვალდებულებების ვადასთან თანხედრაზე, რაც მოიცავს ამგვარი აქტივების დაფინანსებას ან ფულადი სახსრების რეალიზაციას აქტივების გაყიდვის გზით;
- როგორ ხდება პორტფელის შედეგების შეფასება და ამ შეფასებების კომუნიკაცია ბანკის ხელმძღვანელობისთვის;
- რისკები, რომლებიც მოქმედებენ ბიზნეს მოდელის (და ამგვარ ბიზნეს მოდელში არსებული ფინანსური აქტივების) მაჩვენებლებზე და როგორ იმართება ამგვარი რისკები;
- როგორ ხდება ბიზნესის ხელმძღვანელების ანაზღაურება - მაგ. ეფუძნება თუ არა ანაზღაურება მართვის ქვეშ არსებული აქტივების სამართლიან ღირებულებას თუ მიღებულ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს; და
- განვილილ პერიოდებში გაყიდვების სიხშირე, მოცულობა და ვადები, ამგვარი გაყიდვების მიზეზები და მომავალი სავაჭრო საქმიანობის მოლოდინები, ინფორმაცია სავაჭრო საქმიანობის შესახებ ცალკე არ განიხილება, ის წარმოადგენს ბანკის შეფასების ნაწილს, თუ რამდენად არის მიღწეული ფინანსური აქტივების მართვასთან დაკავშირებით ბანკის მიერ განსაზღვრული მიზნები და რამდენად არის რეალიზებული ფულადი სახსრები.

სავაჭროდ ხელმისაწვდომი და მართვის ქვეშ არსებული ფინანსური აქტივები, რომელთა მაჩვენებლები ფასდება სამართლიანი ღირებულების საფუძველზე, შეფასდება სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, რადგან მათი ფლობის მიზეზი არ არის არც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, და არც ფინანსური აქტივების გაყიდვა.

შეფასება იმისა, თუ რამდენად წარმოადგენს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდებს

ამ შეფასების მიზნით, 'ძირითადი თანხა' განისაზღვრება როგორც ფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას. 'პროცენტი' განისაზღვრება როგორც გასამრჯელო რაც უკავშირდება ფულის ღირებულებას დროში, კონკრეტული დროის განმავლობაში გადაუხდელი ძირითადი თანხის საკრედიტო რისკს და სხვა ძირითად საკრედიტო რისკებს და ხარჯებს (მაგ. ლიკვიდურობის რისკი და ადმინისტრაციული ხარჯები), ასევე მოგების მარჯეს.

იმის შეფასებისას, წარმოადგენს თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი თანხებისა და პროცენტის გადახდებს, ბანკი გაითვალისწინებს ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობებს. ეს ასევე გულისხმობს შეფასებას იმისა, მოიცავს თუ არა ფინანსური აქტივი სახელშეკრულებო პირობებს, რომელმაც შესაძლოა ისეთი ფორმით შეცვალოს სახელშეკრულებო ფულადი სახსრების ვადები ან თანხა, რომ ის აღარ დააკმაყოფილებს მოცემულ პირობას. შეფასების განხორციელებისას, ბანკი ითვალისწინებს შემდეგს:

- პირობითი ვითარებები, რომლებიც შეცვლიან ფულადი ნაკადების თანხას და ვადებს;
- ლევერიჯის ფუნქციები;
- წინასწარ დაფარვისა და ვადის გახანგრძლივების პირობები;
- პირობები, რომლებიც ზღუდავენ ბანკის უფლებას მოითხოვოს ფულადი ნაკადები კონკრეტული აქტივებიდან - მაგ. აქტივების განთავსების რეგრესი; და
- ვითარებები, რომლებიც ცვლიან ფულის ღირებულება დროში გადახდებს - მაგ. საპროცენტო განაკვეთების პერიოდული ცვლილება.

რეკლასიფიკაცია

პირველადი აღიარების შემდგომ ფინანსური აქტივები არ ექვემდებარება რეკლასიფიკაციას, მანამ სანამ კომპანია არ შეცვლის ფინანსური აქტივების აღრიცხვის ბიზნეს მოდელს.

ფინანსური აქტივები - 2018 წლის 1 იანვრიდან გამოყენებული პოლიტიკა

ბანკი აკლასიფიცირებს მის ფინანსურ აქტივებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთში:

- სესხები და მოთხოვნები;
- ვადამდე-ფლობილი;
- გასაყიდად არსებული; და
- სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით, და ამ კატეგორიაში ასევე:
 - გასაყიდად არსებული; ან
 - გამოჩნული როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსური ვალდებულებები

ბანკი აკლასიფიცირებს მის ფინანსურ ვალდებულებებს, სასესხო ვალდებულებებისა და ფინანსური უზრუნველყოფის გარდა, ისევე როგორც აღრიცხავს - ამორტიზირებული ღირებულებით.

რეკლასიფიკაცია

ფინანსური ვალდებულებები არ რეკლასიფიცირდება პირველადი აღიარების შემდგომ.

ii. აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ბანკი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც ფინანსური აქტივიდან მიღებულ სახელშეკრულებო უფლებებს ფულად ნაკადებზე გასდის ვადა, ან ის გადასცემს გარიგებიდან

მისაღებ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებზე უფლებებს, რომელშიც თითქმის ყველა რისკი და აქტივის ფლობის ანაზღაურება მოიაზრება, ან როდესაც ბანკი არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ფინანსური აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკებს და ანაზღაურებებს და ბანკი არ ინარჩუნებს ფინანსურ აქტივზე უფლებებჯგუფი დებს გარიგებებს რომლითაც ის გადასცემს მისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულ აქტივებს, მაგრამ ინარჩუნებს გადაცემულ აქტივებთან დაკავშირებულ ყველა ან თითქმის ყველა რისკს და ანაზღაურებას. ასეთ შემთხვევებში, გადაცემული აქტივის აღიარება არ წყდება.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტისას, სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა (ან აღიარებაშეწყვეტილი აქტივის იმ ნაწილის საბალანსო ღირებულებას) და მიღებულ ჯამურ ოდენობას შორის (i) ნებისმიერი მიღებული ახალ აქტივს გამოკლებული ახალი დაკისრებული ვალდებულების ჩათვლით) და (ii) ნებისმიერი კუმულაციური მოგება ან ზარალი რომელიც აღიარებულ იქნა სხვა სრულ შემოსავალში - აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები

ბანკი წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როდესაც მის სახელშეკრულებო ვალდებულებებს ვადა გასდის, უქმდება ან თავისუფლდება.

iii. ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების კორექტირება

2018 წლის 1 იანვრიდან გამოყენებული პოლიტიკა

ფინანსური აქტივები

თუ ფინანსური აქტივის პირობები იცვლება, ბანკმა უნდა შეაფასოს არსებითად იცვლება თუ არა შეცვლილი აქტივისგან წარმომობილი ფულადი ნაკადები. თუ ფულად ნაკადებში არსებითი ცვლილებაა (ეგრეთ წოდებული „არსებითი ცვლილება“), მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივისგან წარმომობილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა ვადაგასულად. ამ შემთხვევაში, თავდაპირველი ფინანსური აქტივი ჩამოიწერება და ახალი ფინანსური აქტივი აღიარდება სამართლიანი ღირებულებით პლიუს ნებისმიერი შესაბამისი გარიგების ხარჯები.

ნებისმიერი საკომისიო მიღებული კორექტირების ფარგლებში აღირიცხება შემდეგნაირად:

- ახალი აქტივის სამართლიანი ღირებულების დადგენისას გამოყენებული საკომისიოები და შესაბამისი გარიგების ხარჯების ჩათვლიდან მიღებული საკომისიოები ჩათვლილია აქტივის თავდაპირველ აღრიცხვაში, და
- სხვა საკომისიოები ჩათვლილია მოგებაში ან ზარალში როგორც აღიარების შეწყვეტიდან მიღებული მოგება ან ზარალი.

ბანკი ახორციელებს მოცემული ცვლილების არსებითობის რაოდენობრივ და ხარისხობრივ შეფასებას, ანუ არსებითად განსხვავდება თუ არა საწყისი ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადები შეცვლილი ან ჩანაცვლებული ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადებისგან. ბანკი აფასებს არსებითია თუ არა ცვლილება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით, მოცემული თანმიმდევრობით: ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაოდენობრივი მაჩვენებლები, ორივე ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების საერთო გავლენა. თუ ფულადი ნაკადები არსებითად განსხვავდება, მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივისგან წარმომობილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა ვადაგასულად. ამ შეფასების გაკეთების დროს კომპანია ფინანსური ვალდებულებების ჩამოწერის დროს გამოყენებული პრინციპების ანალოგიური პრინციპებით ხელმძღვანელობს.

ბანკი ასკვნის, რომ ცვლილება არსებითია შემდეგ ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით:

- ცვლილება ფინანსური აქტივის ვალუტაში;
- ცვლილება გირაოში ან სხვა სასესხო უზრუნველყოფაში;

თუ ფულადი ნაკადები იცვლება როდესაც მსესხებელი ფინანსური სირთულეების წინაშეა, მაშინ კორექტირების მიზანი როგორც წესი არის საწყისი სახელშეკრულებო პირობების აღდგენა და არა ახალი აქტივის წარმოქმნა არსებითად სხვა პირობებზე. თუ ბანკი ფინანსური აქტივის ისეთ კორექტირებას გეგმავს რაც ფულადი ნაკადების პატიებას გამოიწვევს, მაშინ ის თავდაპირველად აფასებს შესაძლებელია თუ არა აქტივის რაღაც ნაწილის ჩამოწერა მანამ სანამ კორექტირებას ექნება ადგილი (იხილეთ ქვემოთ ჩამოწერის პოლიტიკები). ეს მიდგომა გავლენას ახდენს ხარისხობრივი შეფასების შედეგებზე და ნიშნავს, რომ აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმები არ არის დაკმაყოფილებული (როგორც წესი ესეთ შემთხვევებში). ბანკი შემდგომ ახორციელებს კორექტირების არსებითობის ხარისხობრივ შეფასებას.

თუ ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული აქტივის კორექტირება არ იწვევს ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტას, მაშინ ბანკი პირველ რიგში ხელახლა ითვლის ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას აქტივის საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით და აღიარებს საბოლოო კორექტირებას როგორც მოგების ან ზარალის ცვლილებას მოგებაში ან ზარალში. კორექტირებისას გაწეული ან მიღებული ნებისმიერი საკომისიო აკორექტირებს შეცვლილი ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას და ამორტიზირებულია კორექტირებული ფინანსური აქტივის დარჩენილ ვადაზე.

თუ ეს კორექტირება გამოწვეულია მსესხებელის ფინანსური სირთულეების გამო (იხ. შენიშვნა 3(ე)(iv)), მაშინ მოგება ან ზარალი წარმოდგენილია გაუფასურების ზარალთან ერთად. სხვა შემთხვევაში ის წარმოდგენილია როგორც ეფექტური პროცენტის მეთოდით დათვლილი საპროცენტო შემოსავალი (იხ. შენიშვნა 3(ბ)).

ფინანსური ვალდებულებები

ბანკი წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როდესაც იცვლება მისი პირობები და არსებითად განსხვავდება შეცვლილი ფინანსური ვალდებულებასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები. ამ შემთხვევაში, ახალი შეცვლილ პირობებზე დაფუძნებული ფინანსური ვალდებულება აღიარდება სამართლიანი ღირებულებით. სხვაობა განულებულ ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და ახალ შეცვლილ პირობებთან ფინანსურ ვალდებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში. გადახდილი ოდენობა მოიცავს არა-ფინანსური აქტივების გადაცემას, თუ ასეთს აქვს ადგილი, და ვალდებულებების აღებას, ახალი კორექტირებული ფინანსური ვალდებულების ჩათვლით.

ბანკი აფასებს არსებითია თუ არა ცვლილება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით: ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაოდენობრივი მაჩვენებლები, ორივე ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების საერთო გავლენა.

ბანკი ასკვნის, რომ ცვლილება არსებითია შემდეგ ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით:

- ფინანსური ვალდებულების კურსის ცვლილება;
- ცვლილება გირაოში ან სხვა სასესხო უზრუნველყოფაში;

რაოდენობრივი შეფასებისას მნიშვნელოვნად იცვლება პირობები თუ ახალი პირობების მიხედვით ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულება. წმინდად გადახდილი თანხების (დისკონტირებული თავდაპირველი საპროცენტო განაკვეთით) ჩათვლით, მინიმუმ 10%-ით განსხვავდება საწყისი ფინანსური ვალდებულებიდან წარმოქმნილი ნარჩენი ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულებისგან.

თუ ფინანსური ვალდებულების კორექტირება არ მიიჩნევა როგორც აღიარების შეწყვეტა, მაშინ ვალდებულების ამორტიზირებული ღირებულება გადაანგარიშებულია მოდიფიცირებული ფულადი ნაკადების საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებით და

შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარებულია მოგებაში ან ზარალში. მცოცავი განაკვეთის შტონე ფინანსური ვალდებულებებისთვის, საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გამოყენებული ცვლილებიდან მიღებული მოგების ან ზარალის დასათვლელად, კორექტირებულია ცვლილების დროს არსებული მიმდინარე საბაზრო პირობების ასახვის მიზნით.

ნებისმიერი გაწეული საკომისიო ხარჯები აღიარდება როგორც ვალდებულების საბალანსო ღირებულების კორექტირება და ამორტიზირებულია კორექტირებული ფინანსური ვალდებულების დარჩენილ ვადაზე ინსტრუმენტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ხელახლა გამოთვლით.

2018 წლის 1 იანვრამდე გამოყენებული პოლიტიკა

ფინანსური აქტივები

თუ ფინანსური აქტივის პირობები შეიცვალა, მაშინ ბანკმა შეაფასა არსებითად შეიცვალა თუ არა კორექტირებული აქტივიდან მიღებული ფულადი სახსრები, თუ ფულადი სახსრები არსებითად განსხვავდებოდა, მაშინ სახელშეკრულებო უფლებები საწყისი ფინანსური აქტივიდან მიღებულ ფულად ნაკადებზე მიჩნეული იყო ვადაგასულად. ამ შემთხვევაში, საწყის ფინანსური აქტივს შეუწყდა აღიარება (იხ. შენიშვნა 3(ე)(iii)) და ახალი ფინანსური აქტივი აღიარდა სამართლიანი ღირებულებით.

თუ ფინანსური აქტივის პირობები მსესხებლის ფინანსური სირთულეების გამო შეიცვალა და აქტივის აღიარება არ იქნა შეწყვეტილი, მაშინ აქტივის გაუფასურება აღრიცხულ იქნა ცვლილებამდე არსებული საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით (იხ. შენიშვნა 3(ე)(iv)).

ფინანსური ვალდებულებები

ბანკმა შეწყვიტა ფინანსური ვალდებულების აღიარება მაშინ როდესაც შეიცვალა მისი პირობები და არსებითად განსხვავდებოდა შეცვლილი ვალდებულებიდან მიღებული ფულადი სახსრები, ამ შემთხვევაში ახალი ფინანსური ვალდებულება შეცვლილი პირობებით აღიარებულ იქნა სამართლიანი ღირებულებით, სხვაობა განულებული ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ოდენობას შორის აღიარებულ იქნა მოგებაში ან ზარალში.

თუ ფინანსური ვალდებულების ცვლილება არ იქნა მიჩნეული როგორც აღიარების შეწყვეტა, მაშინ ნებისმიერი გაწეული საკომისიო ხარჯები აღიარებულ იქნა როგორც ვალდებულების საბალანსო ღირებულების კორექტირება და ამორტიზირებული შეცვლილი ფინანსური ვალდებულების დარჩენილი მოხმარების ვადის განმავლობაში ინსტრუმენტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ხელახლა გამოანგარიშებით.

iv. გაუფასურება

იხილეთ ასევე შენიშვნა 4.

2018 წლის 1 იანვრიდან გამოყენებული პოლიტიკა

ბანკი აღრიცხავს ზარალის რეზერვებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე შემდეგ ფინანსურ ინსტრუმენტებზე რომლებიც არ არის აღრიცხული სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით:

- ფინანსური აქტივები რომლებიც წარმოადგენენ სასესხო ინსტრუმენტებს;
- გამოშვებულ სასესხო ვალდებულებებს.

ბანკი აღრიცხავს ზარალის რეზერვებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით, შემდეგი შემთხვევების გარდა როდესაც აღირიცხება 12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით:

- ვალის ინვესტიციის უზრუნველყოფა რომელსაც სააღრიცხვო თარიღისთვის აქვს დაბალი საკრედიტო რისკი; და
- სხვა ფინანსური ინსტრუმენტები რომლებსთვისაც საკრედიტო რისკი არსებითად არ გაზრდილა თავდაპირველი აღიარების შემდგომ (იხ. შენიშვნა 4).

ბანკი მიიჩნევს რომ ვალის ინვესტიციის უზრუნველყოფას და სხვა ფინანსურ აქტივებს აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი.

12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ის ნაწილი რომელიც წარმოიშობა ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღიდან 12 თვის განმავლობაში მომხდარი ფინანსური ინსტრუმენტის დეფოლტის შემთხვევებისაგან. ფინანსური ინსტრუმენტები რომლებზეც 12 თვიანი მსზ აღიარდება მიჩნეულია როგორც „1-ლი დონის“ ფინანსური ინსტრუმენტები.

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი რომელიც წარმოიშობა ნებისმიერი შესაძლო დეფოლტის შემთხვევებისგან ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში. ფინანსური ინსტრუმენტები რომლებზეც არსებობის მანძილზე მსზ აღიარდება მიჩნეულია როგორც „შე-2 დონის“ ფინანსური ინსტრუმენტები.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი წარმოადგენს საკრედიტო ზარალის აღბათობით შეწონილ შეფასებას და ის ფასდება შემდეგი სახით:

- *ფინანსური აქტივები, რომლებიც არ წარმოადგენენ გაუფასურებულ კრედიტს საანგარიშგებო თარიღისთვის:* აუნაზღაურებელი ფულადი სახსრების მიმდინარე ღირებულება - ე.ი. სხვაობა ხელშეკრულების საფუძველზე საწარმოს მიერ მისაღებ ფულად სახსრებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომლის მიღებასაც მოელის ბანკი;
- *ფინანსური აქტივები, რომლებიც წარმოადგენენ გაუფასურებულ კრედიტს ანგარიშგების თარიღისთვის:* სხვაობა მოსალოდნელი მომავალი ფულადი სახსრების მიმდინარე ღირებულებასა და მთლიან საბალანსო ღირებულებას შორის;
- *გამოუყენებელი სესხის გაცემის ვალდებულებები:* ბანკის მიერ მისაღებ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა (ვალდებულების მოთხოვნის შემთხვევაში) და იმ ფულად ნაკადებს შორის სხვაობის მიმდინარე ღირებულება, რომლის მიღებასაც მოელის ბანკი.

იხილეთ ასევე შენიშვნა 4.

რესტრუქტურული ფინანსური აქტივები

თუ ფინანსური აქტივის პირობები იცვლება მოლაპარაკებების საფუძველზე ან მსესხებლის ფინანსური სირთულეების გამო არსებული ფინანსური აქტივი ახლით იცვლება, მაშინ კეთდება შეფასება უნდა მოხდეს თუ არა ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა (იხ. შენიშვნა 3(ე)(iii)) და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ანგარიშდება შემდეგნაირად:

- თუ მოსალოდნელი რესტრუქტურული ზარალი არ გამოიწვევს არსებული აქტივის აღიარების შეწყვეტას, მაშინ შეცვლილი ფინანსური აქტივიდან მისაღები მოსალოდნელი ფულადი სახსრები ჩათვლილია მიმდინარე აქტივისგან მიღებული ფულადი დანაკლისის გაანგარიშებაში (იხ. შენიშვნა 4).

- თუ მოსალოდნელი რესტრუქტურისზაცია გამოიწვევს არსებული აქტივის აღიარების შეწყვეტას, მაშინ ახალი აქტივის მოსალოდნელი სამართლიანი ღირებულება განიხილება როგორც საბოლოო ფულადი ნაკადი არსებული ფინანსური აქტივიდან მისი აღიარების შეწყვეტის მომენტში. ეს ოდენობა ჩათვლილია მიმდინარე ფინანსური აქტივისგან მიღებულ ფულად დანაკლისში, რომელიც დისკონტირებულია მოსალოდნელი აღიარების შეწყვეტის თარიღიდან ანგარიშგების წარდგენის თარიღამდე არსებული ფინანსური აქტივის საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

კრედიტით გაუფასურებული ფინანსური აქტივები

ყოველი სააღრიცხვო პერიოდის დასაწყისში ბანკი აფასებს არის თუ არა ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები („მე-3 დონის“ ფინანსური აქტივები) გაუფასურებული კრედიტით. ფინანსური აქტივი „გაუფასურებულია კრედიტით“ როდესაც ფინანსური აქტივის სამომავლო ფულად ნაკადებზე საზიანო გავლენის მქონე ერთ ან მეტ შემთხვევას ჰქონდა ადგილი.

მტკიცებულებები კრედიტით. ფინანსური აქტივი „გაუფასურებულია კრედიტით“ როდესაც ფინანსური აქტივის სამომავლო:

საცალო სესხებისთვის:

- მსესხებელის გარდაცვალება;
- სესხები 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით;
- ეკონომიკურ ზარალთან დაკავშირებული სესხის რესტრუქტურისზაცია;
- სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც იწვევს მსესხებლის უუნარობას დაფაროს თავისი სასესხო ვალდებულებები;
- თაღლითობის შემთხვევა ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაცია მსესხებლის მხრიდან, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს კომპანიის ლიკვიდურობაზე.

ბიზნეს სესხებისთვის:

- გაკორტების წამოწყება მსესხებლის მხრიდან;
- სესხები 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით;
- ეკონომიკურ ზარალთან დაკავშირებული სესხის რესტრუქტურისზაცია;
- მსესხებლის სესხის ნებისმიერი ნაწილის მე-3 დონეზე გადატანა.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენა

ზარალის რეზერვები მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შემდეგნაირად:

- ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს საკრედიტო ზარალზე არსებული გამოუყენებელი სესხის ვალდებულების ჩათვლით; როგორც გამოქვითვა აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულებიდან.

ჩამოწერა

სესხები და ფასიანი ქაღალდები ჩამოიწერება (მთლიანად ან ნაწილობრივ) როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი ფინანსური აქტივის ნაწილობრივი ან მთლიანი აღდგენისა. ეს არის ისეთი შემთხვევა, როდესაც ბანკი ვარაუდობს, რომ მსესხებელს არ აქვს შესაბამისი აქტივი ან შემოსავლის წყარო, რითაც იგი უზრუნველყოფს ფულადი ნაკადების გენერირებას იმისთვის, რომ დაფაროს ჩამოწერის საგანი. აღნიშნული შეფასება ხორციელდება ინდივიდუალური აქტივების დონეზე.

ადრე ჩამოწერილი ოდენობების აღდგენა შედის „ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურების ზარალში“ მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ჩამოწერილი ფინანსური აქტივები შეიძლება კიდევ დაექვემდებაროს აღსრულების მცდელობას ბანკის მხრიდან ვადაგასული თანხების ამოღების პროცედურების შესაბამისად.

2018 წლის 1 იანვრამდე გამოყენებული პოლიტიკა

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს „ბანკი“ აფასებს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივები ან აქტივების ჯგუფი გაუფასურდა. ფინანსური აქტივი ან ამგვარი აქტივების ჯგუფი გაუფასურებულად მიიჩნევა მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება ერთი ან მეტი მოვლენის შედეგად, რომელსაც ადგილი ჰქონდა აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ („ზარალის დადგომის შემთხვევა“) და ზარალის დადგომის ეს შემთხვევა გავლენას ახდენს ფინანსური აქტივიდან მომავალში მოსალოდნელ შეფასებულ ფულად ნაკადებზე, რომელთა საიმედოდ შეფასება შესაძლებელია. გაუფასურების არსებობის ობიექტური ნიშანი შეიძლება იყოს ის ფაქტი, რომ მსესხებელი ან მსესხებელთა ჯგუფი განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს, არღვევს სესხის პროცენტის ან ძირითადი თანხის გადახდის ვალდებულებას, არსებობს გაკოტრების ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის მაღალი ალბათობა და ხელთ არსებული მონაცემები მიუთითებს ფულადი სახსრების მოსალოდნელი მომავალი ნაკადების შემცირებაზე, მაგალითად, როგორცაა ცვლილებები ვადაგადაცილების დონეში ან ეკონომიკურ პირობებში, რომლებსაც უკავშირდება ვალდებულებების შეუსრულებლობა.

საკრედიტო ინსიტუტებისგან მისაღები თანხები და სესხები კლიენტებზე

საკრედიტო ინსიტუტებისგან მისაღები თანხებისთვის და ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული სესხებისთვის კლიენტებზე, ბანკი თავდაპირველად ინდივიდუალურად აფასებს არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება მოცემული ფინანსური აქტივებისათვის, რომლებიც არსებითია ინდივიდუალურად ან ფასდება კოლექტიურად თუ არ წარმოადგენს ინდივიდუალურად არსებითს. თუ ბანკი განსაზღვრავს, რომ ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივის (განურჩევლად იმისა, მნიშვნელოვანია ის თუ არა) გაუფასურების ობიექტური საფუძველი არ არსებობს, აქტივის ჩართვა ხდება ფინანსური აქტივების ჯგუფში, რომელსაც ახასიათებს ანალოგიური საკრედიტო რისკები და ამ ფინანსური აქტივების ჯგუფის შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება კოლექტიურად. აქტივები, რომელთა გაუფასურებაც ინდივიდუალურად ფასდება და რომლებზეც ხდება გაუფასურების ზარალის აღიარება, არ მონაწილეობს გაუფასურებასთან მიმართებაში აქტივების კოლექტიური შეფასების პროცესში.

თუ არსებობს გაუფასურების ზარალის წარმოშობის ობიექტური საფუძველი, ზარალის თანხა აღირიცხება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი სახსრების მიმდინარე ღირებულებას შორის (გარდა მომავალში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისა, რომელსაც ჯერ ადგილი არ ჰქონია). აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის მეშვეობით და დანაკარგის თანხის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. საპროცენტო შემოსავალი ერიცხება შემცირებულ საბალანსო ღირებულებას აქტივის თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით. სესხები მათ რეზერვთან ერთად ჩამოიწერება მაშინ, როდესაც მათი ამოღება აღარ არის რეალურად მოსალოდნელი, ხოლო უზრუნველყოფა მთლიანად რეალიზებულია ან ბანკისთვის არის გადაცემული. თუ მომდევნო წლის განმავლობაში გაუფასურებით გამოწვეული ზარალი გაიზრდება ან შემცირდება გაუფასურების აღიარების შემდგომი მოვლენის გამო, მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი იზრდება ან მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით. თუ მომავალში ხდება ჩამოწერის აღდგენა, აღნიშნული კრედიტდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაზე.

მოსალოდნელი სამომავლო ფულადი სახსრების მიმდინარე ღირებულება დისკონტირებულია ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. თუ სესხს აქვს ცვლადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტის განაკვეთს გაუფასურების ზარალის შესაფასებლად წარმოადგენს მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის სამომავლო ფულადი სახსრების მიმდინარე ღირებულების გამოთვლა ასახავს ფულად ნაკადებს, რომლებიც გამომდინარეობს დაგირავებული ქონების გამოსყიდვის უფლების ჩამორთმევიდან, უზრუნველყოფის მიღებასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით, იმისდა მიუხედავად, მოსალოდნელია თუ არა დაგირავებული ქონების გამოსყიდვის უფლების ჩამორთმევა.

გაუფასურების კოლექტიურად შეფასების მიზნით, ფინანსური აქტივები დაჯგუფებულია ბანკის შიდა საკრედიტო რანჟირების სისტემაზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს საკრედიტო რისკის ისეთ მახასიათებლებს, როგორებიცაა აქტივის ტიპი, სექტორი, გეოგრაფიული მდებარეობა, უზრუნველყოფის ტიპი, ვადაგადაცილების სტატუსი და სხვა შესაბამისი ფაქტორები.

გაუფასურებასთან მიმართებაში კოლექტიურად შეფასებული ფინანსური აქტივების სამომავლო ფულადი სახსრები განსაზღვრულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე აქტივების ისტორიული ზარალის შესაბამისად.

დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური ინვესტიციები

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციებისთვის ბანკი ინდივიდუალურად აფასებს არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. თუ არსებობს გაუფასურების ზარალის წარმოშობის ობიექტური საფუძველი, ზარალის თანხა აღირიცხება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი სახსრების მიმდინარე ღირებულებას შორის. აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება და დანაკარგის თანხის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

თუ მომავალში ხდება მოსალოდნელი გაუფასურების ზარალის შემცირება, გაუფასურების შემდეგ მომხდარი მოვლენების გამო, აღნიშნული კრედიტდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში.

(გ) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, სებ-ის მიმართ არსებულ მოთხოვნებს, სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტების გამოკლებით, და ფინანსური ინსტიტუტების მიმართ არსებულ მოთხოვნებს რომელთა დაფარვის ვადა გამოშვებიდან სამ თვეზე ნაკლებია და თავისუფალია სახელმწიფოებში ვალდებულებებისგან.

(ზ) მომხმარებლებზე გაცემული სესხები

2018 წლის 1 იანვრიდან გამოყენებული პოლიტიკა

„მომხმარებლებზე გაცემული სესხები“-ს მუხლი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოიცავს ამორტიზირებული ღირებულებით შეფასულ მომხმარებლებზე გაცემულ სესხებს (იხ. შენიშვნა 3(ე)(i)); ისინი თავდაპირველად შეფასებულია სამართლიან ღირებულებას დამატებული ზრდადი პირდაპირი გარიგების ხარჯები, და მამასადამე მათი ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

2018 წლის 1 იანვრამდე გამოყენებული პოლიტიკა

მომხმარებლებზე გაცემული სესხები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან ცვალებადი გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული მოქმედ ბაზარზე და რომლების დაუყოვნებლივ ან უახლოეს პერიოდში გაყიდვასაც ბანკი არ ისახავს მიზნად.

მომხმარებლებზე გაცემული სესხები მოიცავს „სესხები და მოთხოვნებად“ კლასიფიცირებულ სესხებს.

მომხმარებლებზე გაცემული სესხები თავდაპირველად აისახება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომში ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

(თ) საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები

2018 წლის 1 იანვრიდან გამოყენებული პოლიტიკა

საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების მუხლი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოიცავს შემდეგს:

- ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებულ სასესხო საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებს (იხ. შენიშვნა 3(ე)(i)); თავდაპირველად ფასდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ზრდადი პირდაპირი გარიგების ხარჯები, ხოლო შემდგომში ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

2018 წლის 1 იანვრამდე გამოყენებული პოლიტიკა

საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები თავდაპირველად აღირიცხებოდა სამართლიან ღირებულებას დამატებული, საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების არა სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული, მზარდი პირდაპირი გარიგების ხარჯები, და შემდგომ აღირიცხული, მათი კლასიფიკაციის მიხედვით, როგორც ვადამდე ფლობილი, სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით ან გასაყიდად ფლობილი.

დაფარვის ვადამდე ფლობილი

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები იყო არა-წარმოებული აქტივები ფიქსირებული ან ცვალებადი გადახდებით და ფიქსირებული ხანდაზმულობით რომლის ფლობასაც ბანკი განიზრახავდა ვადამდე, და რომლებიც არ იყო გამიზნული როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით ან როგორც გასაყიდად ფლობილი.

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები აღირიცხებოდა ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით, ნებისმიერი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ვადამდე ფლობილი ინვესტიციების არსებითი ოდენობის გაყიდვა ან რეკლასიფიკაცია გამოიწვევდა ყველა დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციების რეკლასიფიკაციას როგორც გასაყიდად ფლობილის, და შეუშლიდა კომპანიას ხელს მომავალი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების დაფარვის ვადამდე ფლობილად კლასიფიკაციას მომდევნო ორი ფინანსური წელიწადის განმავლობაში. თუმცა, მოცემულ შემთხვევებში გაყიდვა ან რეკლასიფიკაცია არ გამოიწვევდა რეკლასიფიკაციას:

- გაყიდვა ან რეკლასიფიკაცია რომელიც ისე ახლოს იყო დაფარვის ვადასთან, რომ ცვლილებებს საბაზრო განაკვეთში არ ექნებოდა არსებითი გავლენა ფინანსური აქტივის სამართლიან ღირებულებაზე;
- გაყიდვა ან რეკლასიფიკაცია მას მერე რაც ბანკმა თითქმის სრულად შეაგროვა აქტივის თავდაპირველი ძირი თანხა; და
- გაყიდვა ან რეკლასიფიკაცია რომელიც გამოწვეული იყო ერთჯერადი იზოლირებული მოვლენების მიერ რომლებიც არ ექვემდებარებოდა ბანკის კონტროლს და არ არსებობდა მათი მოხდენის გონივრული მოლოდინი.

(ა) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულები, მიწისა და შენობების გარდა, ფასდება თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა, გაუფასურების ზარალის და ყოველდღიური სარემონტო ხარჯების გამოკლებით.

ესეიტი ხარჯები მოიცავს ძირითადი საშუალებების ნაწილების გადაადგილების ხარჯებს როდესაც ეს ხარჯი არის გაწეული და თუ ის აკმაყოფილებს აღიარების კრიტერიუმებს.

დანადგარების საბალანსო ღირებულება გადახედილია გაუფასურების კუთხით როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებება მიანიშნებს, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს აღდგენადი.

თავდაპირველი თვითღირებულებით აღიარების შემდეგ მიწა და შენობები აღირიცხება გადაფასებული ღირებულებით, რაც წარმოადგენს გადაფასების დღეს არსებულ სამართლიან ღირებულებას დაკლებული ნებისმიერი შემდგომი დაგროვილი ცვეთა და შემდგომი დაგროვილი გაუფასურების ზარალი. შეფასებები საკმარისად ხშირად ხორციელდება, რომ გარანტირებული იყოს რომ გადაფასებული აქტივის სამართლიანი ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს მისი საბალანსო ღირებულებებისგან.

დაგროვილი ცვეთა გადაფასების თარიღისთვის გაუქმებულია აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულების საპირწონედ და წმინდა ოდენობა დამატებულია აქტივის გადაანგარიშებულ ოდენობაზე. ნებისმიერი გადაფასების ნამეტი დაკრედიტებულია სხვა სრულ შემოსავალში ასახულ ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვზე გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც ის აღადგენს იგივე აქტივის გადაფასების შემცირებას ადრე აღიარებულს მოგება ან ზარალის ანგარიშგებაში, რა შემთხვევაშიც ზრდა აღიარდება მოგება ან ზარალის ანგარიშგებაში. გადაფასების ნაკლებობა აღიარდება მოგება ან ზარალის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც დანაკლისი პირდაპირ ურთიერთგადაფარავს წინა ნამეტს იგივე აქტივზე, რა შემთხვევაშიც ის პირდაპირ ურთიერთგადაფარულია ნამეტის საპირწონედ ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვში.

ყოველწლიური გადატანა ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვიდან გაუნაწილებელ მოგებაში ხდება გადაფასებული აქტივების საბალანსო ღირებულების ცვეთასა და აქტივების საწყისი ღირებულების ცვეთას შორის სხვაობის ოდენობით, გაყიდვისას ნებისმიერი კონკრეტული აქტივის გადაფასების რეზერვი გადადის გაუნაწილებელ მოგებაში.

აქტივის ცვეთა იწყება როდესაც ის მზად არის მოხმარებისთვის. ცვეთის დარიცხვა წარმოებს წრფივი მეთოდით შემდეგი წლიური განაკვეთების გამოყენებით:

| | <i>წლები</i> |
|-------------------------------------|--------------|
| შენობა-ნაგებობი | 50 |
| ავტო | 4-10 |
| კომპიუტერები და საოფისე მოწყობილობა | 4-10 |
| სატრანსპორტო საშუალებები | 5 |
| სხვა | 4-10 |

აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადები და მეთოდები გადაიხედება და შესაბამისად კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

რემონტისა და განახლების ხარჯები აისახება მათი გაწევისთანავე და მიეკუთვნება საოპერაციო ხარჯებს, გარდა შემთხვევებისა როდესაც ისინი კაპიტალიზაციას ექვემდებარებიან.

(ბ) გასაყიდად ფლობილი გრძელვადიანი აქტივები

ბანკი აკლასიფიცირებს გრძელვადიან აქტივად (ან განკარგვის ჯგუფად) ამოღებულ ქონებას რომლის საბალანსო ღირებულება აღდგენილი იქნება უშუაღესწილად გაყიდვის გარიგებიდან და

არა მისი გამოყენებიდან. გასაყიდად ფლობილი ძირითადი საშუალებები ფასდება საბალანსო ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვასთან დაკავშირებულ ხარჯებს შორის უმცირესით. გასაყიდად ფლობილი ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების შემდგომი ჩამოწერები აღიარდება როგორც გაუფასურების ზარალი. განკარგვის ჯგუფის სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გასაყიდი ღირებულების შემდგომი მატებიდან მიღებული მოგება არ აღიარდება იმაზე მეტი ოდენობით ვიდრე ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალი.

(ლ) სააქციო კაპიტალი

i. ჩვეულებრივი აქციები

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება, როგორც კაპიტალი. დამატებითი ხარჯები, რომლებიც პირდაპირ არის დაკავშირებული ჩვეულებრივი აქციების გამოშვებასთან და აქციების ოფციონებთან, აღიარდება, როგორც გამოქვითვა კაპიტალიდან, ნებისმიერი საგადასახადო ეფექტის გამოკლებით.

ii. დივიდენდები

„ჯგუფის“ მიერ დივიდენდების გამოცხადებისა და გადახდის უნარი ექვემდებარება საქართველოში მოქმედ წესებსა და რეგულაციებს. ჩვეულებრივ აქციებზე დივიდენდების აღიარება ხდება როგორც გაუნაწილებელი მოგების მიკუთვნება, მათი გამოცხადებისას.

(მ) შესადარისი ინფორმაცია

ფასს 9-ს დანერგვის შედეგად ბანკმა შეცვალა ზოგიერთი მუხლის წარდგენა ფინანსური ანგარიშგების პირველად ფორმებში. შესადარისი ინფორმაცია გადაანგარიშებულია, რომ შეესაბამებოდეს მიმდინარე პერიოდის წარდგენაში ცვლილებებს.

ფინანსური მდგომარეობის წარდგენაში ძირითადი ცვლილებების გავლენა ასახულია შენიშვნა 5-ში.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების წარდგენაში ძირითადი ცვლილებების გავლენა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

- „დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები“ წარმოდგენილი იყო „საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები“ ერთეულში

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების წარდგენაში ძირითადი ცვლილებების გავლენა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

- "საპროცენტო შემოსავალი" წარმოდგენილი იყო „ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით დათვლილი საპროცენტო შემოსავალი“ ერთეულში;
- "გაუფასურების აღდგენა, წმინდა" წარმოდგენილი იყო „გაუფასურების აღდგენა სასესხო ფინანსურ აქტივებზე და სასესხო ვალდებულებებზე, წმინდა“ ერთეულში.

(ნ) გამოცემული, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესული სტანდარტები

არსებობს რიგი ახალი სტანდარტები და კორექტირებები სტანდარტებში რომლებიც 2019 წლის 1 იანვრიდან, და ყოველი მომდევნო წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, შევიდა ძალაში (უფრო ადრეული მიღებაც ნებადართულია). თუმცა ბანკს ჯერ არ ჰქონდა ეს ცვლილებები მიღებული ამ ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას, ფასს 9-ს კორექტირების გარდა რომელმაც გავლენა იქონია უარყოფითი ანაზღაურების შექონე წინასწარი გადახდების მახასიათებლებზე 2017 წლის ოქტომბერში.

- ფასს 16- იჯარები;
- ფასიკ 23 - გაურკვეველობა საგადასახადო მიდგომებში;
- „გრძელვადიანი პროცენტები შეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში“(ბასს 28-ს კორექტირებები);
- გეგმის კორექტირება, შემცირება ან გაქვითვა (ბასს 19-ს კორექტირებები);
- ფასს სტანდარტების ყოველწლიური გაუმჯობესებები 2015-2017 ციკლი - სხვადასხვა სტანდარტები;
- კორექტირებები ფასს სტანდარტების კონცეპტუალური ჩარჩოს მითითებებში.

4 ფინანსური რისკის მიმოხილვა

ეს შენიშვნა ასახავს ინფორმაციას ბანკის ფინანსურ რისკებზე დაქვემდებარების შესახებ. ბანკის ფინანსური რისკების მართვის სტრუქტურაზე ინფორმაციისთვის, იხ შენიშვნა 18.

საკრედიტო რისკი - მოსალოდნელი საკრედიტო ზარალიდან წარმოშობილი თანხები

გაუფასურების დასადგენად გამოყენებული მონაცემები, ვარაუდები და მეთოდები

იხ. სააღრიცხვო პოლიტიკა შენიშვნა 3(ე)(iv)-ში.

საკრედიტო რისკის არსებითი ზრდა

იმის განსაზღვრისთვის მოხდა თუ არა ფინანსური ინსტრუმენტის დეფოლტის რისკის თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვანი ზრდა ბანკი იყენებს გონივრულ და დასაბუთებულ ინფორმაციას, რომლის მოპოვებაც შესაძლებელია არაჯეროვანი ხარჯების ან მცდელობების გარეშე. ასეთი მონაცემები მოიცავს ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციასა და ანალიზის, რომელიც ეფუძნება ბანკის ისტორიულ გამოცდილებას, კრედიტის საექსპერტო შეფასებას და მომავალზე ორიენტირებულ ინფორმაციას.

ბანკი აღიარებს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას ამ ორი კრიტერიუმის საფუძველზე:

- ხარისხობრივი მაჩვენებლები; და
- 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილების „backstop“ინდიკატორი.

დეფოლტის ალბათობის პირობების სტრუქტურის გენერირება

მომხმარებელთა სესხები

მომხმარებელთა სესხების ალბათობის მოდელირება ეფუძნება ჯგუფური ანალიზის მეთოდს თითოეული სესხის სეგმენტისთვის ცალკ-ცალკე. დეფოლტის განმარტების მიხედვით, დეფოლტის ალბათობა ეფუძნება ისტორიულ ყოველთვიურ მიგრაციის ანალიზს წინა 4 წლის პერიოდის სეგმენტების დეფოლტის ალბათობის მიხედვით. სეგმენტებისთვის რომლებსაც არ გააჩნიათ საკმარისი ისტორიული მონაცემები, ეს პერიოდი განსხვავდება იმის მიხედვით თუ რომელ პერიოდში არსებობს ფაქტობრივი მონაცემები.

ყოველი სეგმენტისთვის გამოითვლებოდა ისტორიული საშუალო ყოველთვიური მატრიცა და სასურველი პერიოდის დეფოლტის ალბათობა განისაზღვრებოდა ამ მატრიცის გამოყენებით (1 წელი და მთლიანი სასიცოცხლო ციკლი).

კორპორატიული სესხები

ბიზნეს სესხის დეფოლტის ალბათობა ფასდება ექსპერტის ინდივიდუალური მიდგომით ქულებიანი კითხვარის საფუძველზე შექმნილი სარეიტინგო სისტემით.

ქვეყნის რეიტინგი არის საბაზისო დეფოლტის ალბათობის გამოთვლის საფუძველი რომელიც წარმოადგენს რეიტინგს და ბიზნეს სესხის ქვედა ზღვარს.

დადგენა არსებითად გაიზარდა თუ არა საკრედიტო რისკი

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ბანკი აფასებს არსებითად გაიზარდა თუ არა საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდგომ. არსებითის მნიშვნელობა განსხვავებულია სესხების გაცემის სხვადასხვა ტიპებისთვის, კონკრეტულად კი კორპორატიულსა და საცალოს შორის.

კონკრეტული დაქვემდებარების საკრედიტო რისკის თავდაპირველი აღიარების შემდგომ არსებითი ზრდის ზოგად მაჩვენებლად მიჩნეულია ბანკის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მოდელი. ქვემოთ აღწერილია საკრედიტო რისკის ზრდის ხარისხობრივი მაჩვენებლები:

კორპორატიული კლიენტები

- ფინანსური ან არაფინანსური მუხლების დარღვევა;
- იურიდიული ქმედება მსესხებელზე, რომელმაც შეიძლება არსებითი ფულადი სახსრების გასვლა გამოიწვიოს;
- სესხის რესტრუქტურისა და რამელიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ ზარალთან;
- მსესხებლის საბანკო ანგარიშზე შეზღუდვების დაწესება;
- ფინანსური ინფორმაციის მოწოდების 1 წლიანი დაგვიანება;
- EBITDA < 0 ან EBITDA/სესხის დაფარვა < 1, წინა პერიოდთან შედარებით;
- მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის არსებითი გაუარესება, ძირითად მომწოდებელთან ხელშეკრულების დაკარგვის, მთავარი მომხმარებლის დაკარგვის, უარყოფითი ფულადი სახსრების პროგნოზის, მომგებიანობის არსებითი გაუარესების ჩათვლით.

საცალო კლიენტები

- სესხის რესტრუქტურისა და რამელიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ ზარალთან;
- სესხის ხარისხთან ფარდობითობის 100%-მდე ზრდა;
- თუ მსესხებელი მევალეთა აღრიცხვის სიაში მოხვდება;
- მსესხებლის საბანკო ანგარიშზე შეზღუდვების დაწესება;
- თუ მსესხებელი დაკარგავს სამსახურს;

“backstop”-ად ბანკი მიიჩნევს, რომ საკრედიტო რისკის არსებითი ზრდა ხდება არა უგვიანეს აქტივის 30 დღეზე მეტი (20 დღეზე მეტი მოკლევადიანი „სილქ სესხის“ შემთხვევაში) ვადაგადაცილების შემთხვევაში. ვადაგადაცილების დღეები ითვლება ყველაზე პირველი ვადაგადაცილების თარიღიდან, როდესაც მთლიანი გადახდა არ იქნა მიღებული, გასული დღეების ოდენობით. გადახდის თარიღად მიიჩნევა თარიღი ნებისმიერი „საშეღავათო პერიოდი“ გათვალისწინების გარეშე, რომლითაც შეიძლება სარგებლობდეს მსესხებელი.

თუ არსებობს საფუძველი იმისა, რომ აღარ არსებობს საკრედიტო რისკის არსებითი ზრდა თავდაპირველ აღიარებასთან შედარებით, მაშინ საკრედიტო ზარალი ინსტრუმენტზე ბრუნდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებიდან 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით შეფასებაზე.

ბანკი ახორციელებს საკრედიტო რისკის არსებითი ზრდის დასადგენი კრიტერიუმების ეფექტურობის მონიტორინგს რეგულარული მიმოხილვებით რათა დაადასტუროს რომ:

- კრიტერიუმებს შეუძლიათ გამოააშკარაონ საკრედიტო რისკის არსებითი ზრდა მანამ სანამ ის დაქვემდებარება დეფოლტს;

- კრიტერიუმები არ შეესაბამება დროის იმ მომენტს როდესაც აქტივი ხდება 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილებული;
- საშუალო დრო აუცილებელი საკრედიტო რისკის არსებითი ზრდის დადგენიდან დეფოლტამდე არის გონივრული;
- რისკზე დაქვემდებარება არ გადადის პირდაპირ 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალიდან კრედიტით გაუფასურებულში; და
- არ არსებობს არანაირი უსაფუძვლო არასტაბილურობა ზარალის რეზერვში, 12 თვეში მსზ-დან (ეტაპი 1) არსებობის მანძილზე მოსალოდნელ მსზ-ში (ეტაპი 2) გადატანებიდან.

მომავალი ტენდენციების გათვალისწინება

მომავალი ტენდენციების გათვალისწინებით დადგენილი მაკროეკონომიკური ინფორმაციის სასებო პორტფოლიოზე ზეგავლენის დასადგენად, მთლიანი სესხის დეფოლტის ალბათობა იქნა გაანალიზებული, და ბოლო ოთხი წლის ყოველი მეოთხედის ყოველწლიური საშუალო დეფოლტის ალბათობის და 2 მეოთხედი GDP -ს ზრდის განაკვეთის კორელაციის კოეფიციენტი იქნა გამოთვლილი, დეფოლტის ალბათობა ყოველი სეგმენტისთვის კორექტირებულ იქნა GDP პროგნოზებით (ოპტიმისტური სცენარი - 25%, საბაზისო სცენარი - 50%, პესიმიტური სცენარი - 25%) და შედეგები შეტანილი იყო ყოველწლიური დეფოლტის ალბათობის გაანგარიშებაში „Vasicek“-ს ფორმულის მიხედვით.

მოდელიზირებული ფინანსური აქტივები

სესხის სახელმწიფო პირობები შესაძლებელია შეიცვალოს რიგი მიზეზების გამო, როგორცაა საბაზრო პირობების ცვლა, კლიენტების შენარჩუნება და სხვა ფაქტორები რომლებიც არ არიან დაკავშირებული კლიენტის მიმდინარე ან პოტენციურ საკრედიტო გაუარესებასთან. არსებული სესხის აღიარება, რომლის პირობებიც შეიცვალა შესაძლებელია შეწყდეს და ახალ სესხად აღიარებულ იქნას მოდიფიცირებული სესხი, სამართლიანი ღირებულებით შენიშვნა 3(ე)(iii)-ში ასახული სადრიცხო პოლიტიკის მიხედვით.

როდესაც ფინანსური აქტივის პირობები იცვლება და ეს ცვლილება არ იწვევს ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტას, იმის დადგენა არსებითად გაიზარდა თუ არა აქტივის საკრედიტო რისკი გამომდინარეობს შემდეგი შედარებიდან:

- საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული მისი ნარჩენი დეფოლტის ალბათობის მოხმარების ვადის შეცვლილ პირობებზე დაყრდნობით; შედარებული
- საწყისი აღიარებისას არსებული მონაცემების და თავდაპირველი სახელმწიფო პირობების მიხედვით ნარჩენი დეფოლტის ალბათობის მოხმარების ვადასთან.

როდესაც ცვლილება იწვევს აქტივის აღიარების შეწყვეტას, აღიარდება ახალი სესხი და მიკუთვნებულია „ეტაპი 1“-ზე (იმის გათვალისწინებით, რომ მოცემული მომენტისთვის ის არ არის გაუფასურებული კრედიტით).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების გამოსათვლელად გამოიყენება შემდეგი ცვლადი მონაცემები:

- დეფოლტის ალბათობა (PD);
- დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში (LGD);
- დეფოლტს დაქვემდებარებული თანხები (EAD).

რისკზე დაქვემდებარების 1-ლი ეტაპის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება 12 თვეში დეფოლტის ალბათობის დანაკარგებზე დეფოლტის შემთხვევაში და დეფოლტს დაქვემდებარებული თანხები-ზე გადამრავლებით, არსებობის მანძილზე მოსალოდნელი

საკრედიტო ზარალი გამოითვლება არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობის დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში და დეფოლტს დაქვემდებარებული თანხები-ზე გადამრავლებით. ბანკი ასევე ადისკონტირებს დეფოლტს დაქვემდებარებულ თანხებს დეფოლტის თარიღიდან საანგარიშგებო თარიღამდე.

დეფოლტის ალბათობის დადგენის მეთოდოლოგია აღწერილია ზემოთ „დეფოლტის ალბათობის პირობების სტრუქტურის გენერირება“ სათაურის ქვეშ.

საკრედიტო ზარალის გამოთვლის მიზნებისთვის, ფასდება ფინანსური აქტივის ზარალის დეფოლტი. ზარალი სამომხმარებლო სესხებზე ფასდება ჯგუფურად სეგმენტების მიხედვით და ბიზნეს სესხები ინდივიდუალური მოვლენების განვითარების მიხედვით.

ჯამური ზარალი დეფოლტის შემთხვევაში:

ყოველი სეგმენტისთვის „დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში“ დასადგენად ბანკი იყენებს „ვინტაჟ“ მიდგომას. გამოყვანილია აღდგენილი დეფოლტირებული სესხის არსებობის მანძილზე სასესხო პორტფოლიოს პროცენტულობა. სესხები დაჯგუფებულია დეფოლტის წლების მიხედვით და გადახდის რისკს დაქვემდებარება მიზნულია თითოეულ ჯგუფზე. თითოეული სეგმენტის დისკონტირებისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

დეფოლტს დაქვემდებარებული თანხები (EAD) ასახავს მოსალოდნელ დაქვემდებარებას დეფოლტის შემთხვევაში. ბანკი ახარისხებს დეფოლტს დაქვემდებარებულ თანხებს პროდუქციის საფუძველზე. „პლიუს სილქ სესხი“, უზუნველყოფილი და არა უზრუნველყოფილი დეფოლტს დაქვემდებარებული თანხები გამოითვლება ამ პროდუქტების საშუალო ნარჩენი ხანდაზმულობის მიხედვით, ყოველი წელიწადისთვის ცალკე-ცალკე. ბანკი მიიჩნევს, რომ წელიწადის შუა პერიოდი არის დეფოლტის მომენტი (მე-ნ თვე), რაც ნიშნავს რომ გადახდები ხორციელდებოდა პირველი სამი თვის განმავლობაში (მე-3 თვე) და დაქვემდებარება არის ვადაგასული დაწყებული მეოთხე თვიდან დეფოლტს დაქვემდებარებული თანხები საკრედიტო ბარათებისთვის მიჩნეულია გაცემული ოდენობების 100%-ი. დეფოლტს დაქვემდებარებული თანხები სილქ სესხისთვის და სილქნეტ აბონენტების სესხებისთვის - არის საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული მთლიანი პორტფოლიოს 100%-ი რადაგანაც ეს პროდუქტები არის ბუნებით მოკლევადიანი.

იმ პორტფელთათვის, რომელთა შესახებაც ბანკს შეზღუდული ისტორიული მონაცემები აქვს, შიდა ინფორმაციის უზრუნველყოფისათვის, ბანკი ხელმძღვანელობს გარე ინფორმაციით. იხილეთ ის პორტფელები, რომელთათვისაც გარე ინფორმაცია წარმოადგენს მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაანარიშებაში:

| ლარი'000 | დაქვემდებარებები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | გამოყენებული გარე ინფორმაცია |
|--|---|---|
| | | დეფოლტის ალბათობა (PD) Moody - ის დეფოლტის ანალიზი |
| კორპორატიულ კლიენტებზე გაცემული სესხები | 8,510 | |

ზარალის რეზერვი

შემდეგი ცხრილი მოიცავს ზარალის რეზერვის შეჯერებას საწყისი ნაშთიდან საბოლოო ნაშთამდე ფინანსური ინსტრუმენტების ტიპების მიხედვით. შესადარისი ოდენობები 2017 წლისთვის წარმოადგენს საკრედიტო ზარალის რეზერვის ანგარიშს და ასახავს შეფასების პრინციპს ბასს 39-ს მიხედვით.

| ლარი'000 | 2018 | | | | 2017 | | |
|--|--------------|------------|--------------|--------------|---------------|--------------|--------------|
| | ეტაპი 1 | ეტაპი 2 | ეტაპი 3 | სულ | ინდივიდუალური | ჯამური | სულ |
| სესხები მომხმარებლებზე ამორტიზირებული ღირებულებით | | | | | | | |
| ნაშთი 1 იანვარს | 213 | 168 | 724 | 1,105 | 455 | 1,423 | 1,878 |
| გადასვლა ეტაპი 2-ზე | (15) | 40 | (25) | - | - | - | - |
| გადასვლა ეტაპი 3-ზე | (31) | (27) | 58 | - | - | - | - |
| ზარალის რეზერვის წმინდა გადაანგარიშგება | (88) | (110) | 463 | 265 | 134 | 139 | 273 |
| შექმნილი ან შეძენილი ახალი ფინანსური აქტივები | 3,039 | - | - | 3,039 | - | - | - |
| გადასვლა ეტაპი 2-ზე | (353) | 353 | - | - | - | - | - |
| გადასვლა ეტაპი 3-ზე | (1,723) | - | 1,723 | - | - | - | - |
| ჩამოწერა | - | - | (790) | (790) | (213) | (435) | (648) |
| ნაშთი 31 დეკემბერს | 1,042 | 424 | 2,153 | 3,619 | 376 | 1,127 | 1,503 |

| ლარი'000 | 2018 | | | | 2017 |
|---|-----------|----------|------------|------------|------------|
| | ეტაპი 1 | ეტაპი 2 | ეტაპი 3 | სულ | სულ |
| სესხები მომხმარებლებზე ამორტიზირებული ღირებულებით - კორპორატიული კლიენტები | | | | | |
| ნაშთი 1 იანვარს | 62 | - | 154 | 216 | 455 |
| გადასვლა ეტაპი 3-ზე | (14) | - | 14 | - | - |
| ზარალის რეზერვის წმინდა გადაანგარიშგება | (5) | - | 159 | 154 | 134 |
| შექმნილი ან შეძენილი ახალი ფინანსური აქტივები | 38 | - | - | 38 | - |
| ჩამოწერა | - | - | (213) | (213) | (213) |
| ნაშთი 31 დეკემბერს | 81 | - | 114 | 195 | 376 |

* 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ბანკი არ ფლობს კრედიტით გაუფასურებულ სესხებს კორპორატიულ კლიენტებზე რომლებსთვისაც არ აქვს ზარალის რეზერვი აღიარებული.

| ლარი'000 | 2018 | | | | 2017 |
|---|------------|------------|--------------|--------------|--------------|
| | ეტაპი 1 | ეტაპი 2 | ეტაპი 3 | სულ | Total |
| სესხები მომხმარებლებზე ამორტიზირებული ღირებულებით - საცალო კლიენტები | | | | | |
| ნაშთი 1 იანვარს | 151 | 168 | 570 | 889 | 1,423 |
| გადასვლა ეტაპი 2-ზე | (15) | 40 | (25) | - | - |
| გადასვლა ეტაპი 3-ზე | (17) | (27) | 44 | - | - |
| ზარალის რეზერვის წმინდა გადაანგარიშგება | (83) | (110) | 304 | 111 | 139 |
| შექმნილი ან შეძენილი ახალი ფინანსური აქტივები | 3,001 | - | - | 3,001 | - |
| გადასვლა ეტაპი 2-ზე | (353) | 353 | - | - | - |
| გადასვლა ეტაპი 3-ზე | (1,723) | - | 1,723 | - | - |
| ჩამოწერა | - | - | (577) | (577) | (435) |
| ნაშთი 31 დეკემბერს | 961 | 424 | 2,039 | 3,424 | 1,127 |

შემდეგი ცხრილი ასახავს ზემოთ მოყვანილ ცხრილებში ასახული ოდენობების (რომლებიც აჯერებს ფინანსური ინსტრუმენტების თითოეული კლასის ზარალის რეზერვების საწყის და საბოლოო ნაშთებს) შეჯერებას.

| ლარი'000 | სესხები მომხმარებლებზე ამორტიზირებული ღირებულებით - საცალო კლიენტები | სესხები მომხმარებლებზე ამორტიზირებული ღირებულებით - კორპორატიული კლიენტები | სულ |
|---|--|--|--------------|
| ზარალის რეზერვის წმინდა გადაანგარიშგება | 154 | 111 | 265 |
| შექმნილი ან შექმნილი ახალი ფინანსური აქტივები | 38 | 3,001 | 3,039 |
| სულ | 192 | 3,112 | 3,304 |
| ადრე ჩამოწერილი ოდენობების აღდგენა | (8) | (363) | (371) |
| სულ | 184 | 2,749 | 2,933 |

არსებითი ცვლილებები ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული კორპორატიულ და საცალო კლიენტებზე გაცემული სესხების მთლიან საბალანსო ღირებულებაში მოცემულია ქვემოთ.

| ლარი'000 | 2018 | | | |
|--|---------------|--------------|--------------|---------------|
| | ეტაპი 1 | ეტაპი 2 | ეტაპი 3 | სულ |
| სესხები მომხმარებლებზე ამორტიზირებული ღირებულებით | | | | |
| ნაშთი 1 იანვარს | 5,616 | 542 | 1,772 | 7,930 |
| გადასვლა ეტაპი 2-ზე | (177) | 244 | (67) | - |
| გადასვლა ეტაპი 3-ზე | (1,173) | (126) | 1,299 | - |
| შექმნილი ან შექმნილი ახალი ფინანსური აქტივები | 15,222 | - | - | 15,222 |
| გადასვლა ეტაპი 2-ზე | (713) | 713 | - | - |
| გადასვლა ეტაპი 3-ზე | (2,112) | - | 2,112 | - |
| გადაფარვები და სხვა მოძრაობა (უცხოური ვალუტის გადაფასების ჩათვლით) | (2,293) | (256) | (784) | (3,333) |
| ჩამოწერა | - | - | (213) | (213) |
| ნაშთი 31 დეკემბერს | 14,370 | 1,117 | 4,119 | 19,606 |

| ლარი'000 | 2018 | | | |
|--|--------------|----------|------------|--------------|
| | ეტაპი 1 | ეტაპი 2 | ეტაპი 3 | სულ |
| სესხები მომხმარებლებზე ამორტიზირებული ღირებულებით - კორპორატიული კლიენტები | | | | |
| ნაშთი 1 იანვარს | 3,480 | - | 327 | 3,807 |
| გადასვლა ეტაპი 3-ზე | (925) | - | 925 | - |
| შექმნილი ან შექმნილი ახალი ფინანსური აქტივები | 5,548 | - | - | 5,548 |
| გადაფარვები და სხვა მოძრაობა (უცხოური ვალუტის გადაფასების ჩათვლით) | (549) | - | (83) | (632) |
| ჩამოწერა | - | - | (213) | (213) |
| ნაშთი 31 დეკემბერს | 7,554 | - | 956 | 8,510 |

| ლარი'000 | 2018 | | | |
|--|--------------|--------------|--------------|---------------|
| | ეტაპი 1 | ეტაპი 2 | ეტაპი 3 | სულ |
| სესხები მომხმარებლებზე ამორტიზირებული ღირებულებით - საცალო კლიენტები | | | | |
| ნაშთი 1 იანვარს | 2,136 | 542 | 1,445 | 4,123 |
| გადასვლა ეტაპი 2-ზე | (177) | 244 | (67) | - |
| გადასვლა ეტაპი 3-ზე | (248) | (126) | 374 | - |
| შექმნილი ან შექმნილი ახალი ფინანსური აქტივები | 9,674 | - | - | 9,674 |
| გადასვლა ეტაპი 2-ზე | (713) | 713 | - | - |
| გადასვლა ეტაპი 3-ზე | (2,112) | - | 2,112 | - |
| გადაფარვები და სხვა მოძრაობა (უცხოური ვალუტის გადაფასების ჩათვლით) | (1,744) | (256) | (701) | (2,701) |
| ნაშთი 31 დეკემბერს | 6,816 | 1,117 | 3,163 | 11,096 |

კრედიტის ხარისხის ანალიზი

შემდეგი ცხრილი ასახავს ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ცხრილში წარმოდგენილი ოდენობები ასახავს ფინანსური აქტივების მთლიან საბალანსო ღირებულებას, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ეტაპი 1, ეტაპი 2, ეტაპი 3 - ტერმინების განმარტება იხილეთ შენიშვნა 3(ე)(iv)-ში.

| ლარი'000 | 31 დეკემბერი 2018 | | | სულ |
|--|-------------------|--------------|----------------|----------------|
| | ეტაპი 1 | ეტაპი 2 | ეტაპი 3 | |
| ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული სესხები მომხმარებლებზე-კორპორატიული კლიენტები | | | | |
| რეიტინგი B2 | 4,907 | - | - | 4,907 |
| რეიტინგი Caa2 | 2,460 | - | - | 2,460 |
| რეიტინგი Caa3 | 187 | - | - | 187 |
| არა შეფასებული | - | - | 956 | 956 |
| სულ | 7,554 | - | 956 | 8,510 |
| ზარალის რეზერვი | (81) | - | (114) | (195) |
| საბალანსო ღირებულება | 7,473 | - | 842 | 8,315 |
| ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული სესხები მომხმარებლებზე-საჯალო კლიენტები | | | | |
| სილქ სესხი | | | | |
| ვადაგადაცილების გარეშე ონლაინ სესხები - 20 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილება | 2,660 | - | - | 2,660 |
| ონლაინ სესხები - 20-60 დღემდე ვადაგადაცილება | 178 | - | - | 178 |
| ონლაინ სესხები - 60 დღეზე მეტი ვადაგადაცილება | - | 217 | - | 217 |
| ონლაინ სესხები - 60 დღეზე მეტი ვადაგადაცილება | - | - | 1,406 | 1,406 |
| სხვა საჯალო სესხები* | | | | |
| არა ვადაგადაცილებული 30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილება | 3,686 | - | - | 3,686 |
| 30-60 დღემდე ვადაგადაცილება | 292 | - | - | 292 |
| 60-90 დღემდე ვადაგადაცილება | - | 234 | - | 234 |
| 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება | - | 141 | - | 141 |
| 90 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილება (რესტრუქტურისაციის სტატუსით) | - | - | 1,234 | 1,234 |
| 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება (რესტრუქტურისაციის სტატუსით) | - | 525 | - | 525 |
| 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება (რესტრუქტურისაციის სტატუსით) | - | - | 523 | 523 |
| სულ საჯალო მომხმარებლებზე გაცემული მთლიანი სესხები | 6,816 | 1,117 | 3,163 | 11,096 |
| ზარალის რეზერვი | (961) | (424) | (2,039) | (3,424) |
| საბალანსო ღირებულება | 5,855 | 693 | 1,124 | 7,672 |

* ფასს 9-ს მიხედვით მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი საჯალო კლიენტებზე გაცემული სესხებისთვის მოიცავს მსზ-ს საკრედიტო ბარათებზე არსებულ გამოუყენებელ სასესხო ვალდებულებებზე.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკი არ ფლობდა ფინანსურ ინსტრუმენტებს რომლისთვისაც არ იყო ზარალის რეზერვი აღიარებული გირაოს არსებობის გამო.

ამ პერიოდის განმავლობაში ბანკს არ შეუცვლია გირაოს პოლიტიკები.

5 ფასს 9-ზე გადასვლა

ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია ფასს 9-ს თავდაპირველი დანერგვისას

შემდეგი ცხრილი ასახავს საწყის შეფასების კატეგორიებს ბასს 39-ს მიხედვით და ახალ შეფასების კატეგორიებს ფასს 9-ს მიხედვით ბანკის ფინანსური აქტივებისათვის 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

| ლარი'000 | შენიშვნა | თავდაპირველი კლასიფიკაცია ბასს 39-ის მიხედვით | ახალი კლასიფიკაცია ფასს 9-ის მიხედვით | თავდაპირველი საბალანსო ღირებულება ბასს 39-ის მიხედვით | ახალი საბალანსო ღირებულება ფასს 9-ის მიხედვით |
|---|----------|---|---------------------------------------|---|---|
| ფინანსური აქტივები | | | | | |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | 9 | სესხები და მოთხოვნები | ამორტიზირებული ღირებულება | 15,973 | 15,973 |
| მოთხოვნები საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ მომხმარებელზე გაცემული სესხები | 10 | სესხები და მოთხოვნები | ამორტიზირებული ღირებულება | 2,273 | 2,273 |
| | 12 | სესხები და მოთხოვნები დაფარვის ვადამდე | ამორტიზირებული ღირებულება | 6,433 | 6,831 |
| ინვესტიციის უზრუნველყოფა | 11 | ფლობილი ინვესტიციები | ამორტიზირებული ღირებულება | 10,255 | 10,255 |
| სხვა ფინანსური აქტივები | | სესხები და მოთხოვნები | ამორტიზირებული ღირებულება | 348 | 348 |
| სულ ფინანსური აქტივები | | | | 35,282 | 35,680 |
| ფინანსური ვალდებულებები | | | | | |
| მიმდინარე ანგარიშები და დეპოზიტები კლიენტებისგან | 14 | ამორტიზირებული ღირებულება | ამორტიზირებული ღირებულება | 15,463 | 15,463 |
| სუბორდინირებული სესხები | 15 | ამორტიზირებული ღირებულება | ამორტიზირებული ღირებულება | 9,076 | 9,076 |
| სხვა ფინანსური ვალდებულებები | | ამორტიზირებული ღირებულება | ამორტიზირებული ღირებულება | 371 | 371 |
| სულ ფინანსური ვალდებულებები | | | | 24,910 | 24,910 |

შემდგომი ცხრილი აჯერებს საბალანსო ღირებულებებს ბასს 39-ის ფარგლებში საბალანსო ღირებულებებთან ფასს 9-ის ფარგლებში ფასს 9-ზე გადასვლისას 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

სს „სილქ როლდ ზანკი“
 ფინანსური ანგარიშგების განყოფილები ნაწილი - განმარტებითი შენიშვნები
 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

| ლარი '000 | საბალანსო ღირებულება ბასს 39-ის მიხედვით 2017 წლის 31 დეკემბერს | | გადაფასება | საბალანსო ღირებულება ფასს 9-ის მიხედვით 2018 წლის 1 იანვარს |
|---|---|----------|------------|---|
| | რეკლასიფიკაცია | | | |
| ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულება | | | | |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები: | 15,973 | - | - | 15,973 |
| მოთხოვნები საკრედიტო ინსტიტუტებზე | 2,273 | - | - | 2,273 |
| მომხმარებლებზე გაცემული სესხები: | | | | |
| საწყისი ნაშთი | 6,433 | - | - | - |
| გადაფასება | - | - | 398 | - |
| საბოლოო ნაშთი | - | - | - | 6,831 |
| საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები: | 10,255 | - | - | 10,255 |
| სხვა ფინანსური აქტივები | 348 | - | - | 348 |
| სულ ამორტიზირებული ღირებულება | 35,282 | - | 398 | 35,680 |

ფასს 9-ს დანერგვის შედეგად არ მომხდარა ფინანსური ვალდებულებების გადაანგარიშება ან რეკლასიფიკაცია.

შემდეგი ცხრილი აჯამებს ფასს 9-ზე გადასვლის გავლენას, გადასახადების გამოკლებით, გაუნაწილებელი მოგების საწყის ნაშთზე. კაპიტალის სხვა ერთეულებზე არ ყოფილა ზეგავლენა.

| ლარი '000 | ფასს 9-ს დანერგვის გავლენა 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით |
|--|---|
| გაუნაწილებელი მოგება | |
| საბოლოო ნაშთი ბასს 39-ს მიხედვით (2017 წლის 31 დეკემბერი) | (2,263) |
| კლენტებზე გაცემული სესხების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება ფასს 9-ს მიხედვით | 398 |
| საწყისი ნაშთი ფასს 9-ს მიხედვით (2018 წლის 1 იანვარი) | (1,865) |

შემდეგი ცხრილი აჯერებს:

- ფინანსური აქტივების საბოლოო გაუფასურების რეზერვს ბასს 39-ს მიხედვით 2017 წლის 31 დეკემბრისთვის; და
- ფასს 9-ს მიხედვით დადგენილ მოსალოდნელ საწყის საკრედიტო ზარალს, 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

| ლარი '000 | გაუფასურების რეზერვი და დაზღვევა | | | 1 იანვარი 2018 (ფასს 9) |
|---|----------------------------------|----------------|----------------|-------------------------|
| | 31 დეკემბერი 2017 (ბასს 39) | რეკლასიფიკაცია | გადაანგარიშება | |
| მომხმარებლებზე გაცემული სესხები | 1,503 | - | (398) | 1,105 |
| ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ჯამი | 1,503 | - | (398) | 1,105 |

6 ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დათვლილი წმინდა საპროცენტო შემოსავალი

| | 2018 ლარი'000 | 2017 ლარი'000 |
|--|------------------|------------------|
| საპროცენტო შემოსავალი | | |
| სესხები გაცემული მომხმარებლებზე | 2,915 | 1,008 |
| საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები | 863 | 1,346 |
| სხვა | 459 | 456 |
| | 4,237 | 2,810 |
| საპროცენტო ხარჯი | | |
| მიმდინარე ანგარიშები და დეპოზიტები კლიენტებისგან | 228 | 628 |
| სუბორდინირებული სესხები | 359 | 3 |
| | 587 | 631 |

7 ადმინისტრაციული ხარჯები

| | 2018 ლარი'000 | 2017 ლარი'000 |
|--|------------------|------------------|
| იურიდიული და საკონსულტაციო | 1,283 | 729 |
| ცვთვის და ამორტიზაციის ხარჯები | 560 | 601 |
| ოჯაროს ხარჯები | 444 | 297 |
| საოფისე ინვენტარი | 440 | 349 |
| სარეკლამო ხარჯები | 357 | 121 |
| საოპერაციო გადასახადები | 238 | 221 |
| დაზღვევა | 32 | 126 |
| უზრუნველყოფა | 84 | 85 |
| ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ზარალი | 64 | 13 |
| ძირითადი საშუალებების რემონტი და შეკეთება | 33 | 29 |
| სხვა | 102 | 194 |
| | 3,637 | 2,765 |

8 მოგების გადასახადისგან მიღებული სარგებელი

| | 2018 ლარი'000 | 2017 ლარი'000 |
|--|------------------|------------------|
| მიმდინარე წლის საგადასახადო ხარჯი | | |
| დროებითი სხვაობების წარმოქმნისა და აღდგენის შედეგად | | |
| გადავადებულ საგადასახადო აქტივებში და ვალდებულებებში | | |
| მოძრაობა | 528 | 39 |
| სულ მოგების გადასახადისგან მიღებული სარგებელი | 528 | 39 |

2018-ში მიმდინარე და გადავადებულ გადასახადზე გამოყენებული საგადასახადო განაკვეთი არის 15%-ი (2017: 15%).

31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ეფექტური საგადასახადო განაკვეთის შეჯერება:

| | 2018 | | 2017 | |
|---|--------------|-----------|-------------|----------|
| | ლარი'000 | % | ლარი'000 | % |
| ზარალი დაბეგრამდე | (5,215) | | (4,259) | |
| მოგების გადასახადი შესაბამისი საგადასახადო განაკვეთით | (783) | 15 | (639) | 15 |
| საგადასახადო კოდექსში ცვლილების ეფექტი | 22 | - | 256 | (6) |
| აუღიარებელი გადავადებული საგადასახადო აქტივის ცვლილება | 377 | (7) | 304 | (7) |
| არაგამოქვითვადი ცვლილებები | (144) | 3 | 40 | (1) |
| აუღიარებელი გადავადებული საგადასახადო აქტივის ცვლილება | (528) | 11 | (39) | 1 |

(ა) გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები

დროებითი სხვაობები ფინანსური აღრიცხვის მიზნებისათვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და საგადასახადო მიზნებისთვის გამოყენებულ ოდენობებს შორის წარმოშობს წმინდა გადავადებულ საგადასახადო აქტივებს 2018 წლის 31 დეკემბრით და წმინდა გადავადებულ საგადასახადო ვალდებულებებს 2017 წლის 31 დეკემბრით.

მოპრაობა დროებით სხვაობებში 31 დეკემბრით დასრულებული 2018 და 2017 წლებში მოყვანილია ქვემოთ:

| 2018 ლარი'000 | 31 დეკემბერი 2017 | კაპიტალში აღიარებული | მოგება ან ზარალში აღიარებული | |
|------------------------------------|----------------------|-------------------------|------------------------------------|----------------------|
| | | | 31 დეკემბერი 2018 | 31 დეკემბერი 2017 |
| ძირითადი საშუალებები | (236) | (383) | 311 | (308) |
| მომხმარებლებზე გაცემული სესხები | (91) | - | 191 | 100 |
| გასაყიდად ფლობილი აქტივები | - | - | 45 | 45 |
| სხვა ვალდებულებები | 48 | - | (19) | 29 |
| | (279) | (383) | 528 | (134) |

| 2017 ლარი'000 | 1 იანვარი 2017 | კაპიტალში აღიარებული | მოგება ან ზარალში აღიარებული | |
|------------------------------------|----------------|-------------------------|------------------------------------|----------------------|
| | | | 31 დეკემბერი 2017 | 31 დეკემბერი 2017 |
| ძირითადი საშუალებები | (187) | (47) | (2) | (236) |
| მომხმარებლებზე გაცემული სესხები | (87) | - | (4) | (91) |
| სხვა ვალდებულებები | 3 | - | 45 | 48 |
| | (271) | (47) | 39 | (279) |

9 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

| | 2018 ლარი'000 | 2017 ლარი'000 |
|--|------------------|------------------|
| ფული სალაროში | 5,052 | 3,079 |
| სებ-ში არსებული მიმდინარე ანგარიშები სავალდებულო რეზერვების გამოკლებით | 1,580 | 500 |
| ნოსტრო ანგარიშები სხვა ბანკებში | | |
